

„თეოლოგიის განვითარებას უჭერს მხარს საღვთისმეტყველო საზოგადოებას... თეოლოგიის განვითარებას უჭერს მხარს საღვთისმეტყველო საზოგადოებას... თეოლოგიის განვითარებას უჭერს მხარს საღვთისმეტყველო საზოგადოებას...“

ხობის მოამბე

№1 (7060) 20 იანვარი
ოთხშაბათი, 2016 წელი.
შპს 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის განვითარება



საკრებულოს სხდომა

20 იანვარს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთი საკითხი: განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციე-

ცილურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია ამ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტის პრეზენტაციის შესახებ, რომელიც გაიმართა 19 იანვარს, ქალაქ ფოთში, ვალერიან გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, სა-



ლებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით, მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 იანვრის 1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ცვლილების თანახმად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თანადაფინანსებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით განისაზღვრა თანხა 5%-ის ოდენობით. საკითხი საკრებულოს წევრების მხრიდან ერთხმად იქნა მხარდაჭერილი.

სხდომაზე საკრებულოს სო-

მეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ლევან შონია, მუნიციპალიტეტების გამგებლები, მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, რეგიონის საბავშვო ბაღების დირექტორები, მეთოდისტები და აღმზრდელ-პედაგოგები. კანონპროექტი დამსწრე საზოგადოებას გააცნო პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ. კანონის მიზანია ქვეყნის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში აღზრდისა და განათლების ერთიანი სისტემის ფორმირება და ემსახურება ბავშვთა უფლებების დაცვას. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საზოგადოებრივი აქტიურობა

„დღეს ყოველი დაბადებული იშვებს და იხარებს, რამეთუ ქრისტე იშვა ქალწულისაგან“ (სადღესასწაულო)

ყოვლადსამღვდელონი მღვდელმთავარნი, დირნო მამანი და დედანო, ძმანი და დანო, მკვიდრნი საქართველოსა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულენო!

დღეს ხარობს ყოველი სულდგმული, ცა და ქვეყანა, ხარობს ჩვენი სულელები და სამყაროც ივსება ანგელოზთა საგალობლით: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“. —რა არის მიზეზი ამ საოცარი სულიერი ზეიმისა? —ის, რომ მოგვეცა შესაძლებლობა სამოთხისეული ნეტარების მოპოვებისა, დაკარგული სიწმინდის აღდგენისა და სულიერი განახლებისა. დღეს ძეღვთისა განხორციელდა, რათა ადამიანი ღმერთამდე აღმალლოს! „საიღუმლო უცხო და დიდებული ვიხილოთ, ქუაბი ცათა ემსგავსა, ქალწული-ქერუბინითა, ხოლო ბავა სახე იქმნა სამყაროსა, რამეთუ დაიტია დღეს ქრისტე ღმერთი, დაუტეველი, რომელსა ვადიდებთ“ (სადღესასწაულო). მაშ, მივეგებოთ ახლადმოხილ ყრმას და გავხსნათ კარნი გულისანი, რათა ჩვენშიც იშვას ქრისტე. —ვართ კი დირნო, რომ იესო მოვიდეს და დაემკვიდროს ჩვენს გულში? —რა თქმა უნდა, არა და არც არასდროს ვიქნებით მზად ამ დიდი საიდუმლოსთვის, მაგრამ მოწყალეობა და სიყვარული ღვთისა იმდენად მოუწვევდომელია და უნაპირო, რომ ამ სასწაული სრულდება. ოღონდ ემს თავისი აუცილებელი პირობაც ახლავს. —კერძოდ? —ადამიანი თანაზიარი უნდა გახდეს ღვთაებრივი სიყვარულისა. —როგორ შევძლით ეს? —წმ. პავლე მოციქული მიუთითებს, რომ ღმერთთან კავშირისთვის ადამიანს უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტი რწმენა, სასოება და სიყვარული. ამათ შორის კი უპირატესად სახელდება სიყვარულს (1 კორ. 13:13), რადგან რწმენა და სასოება, მხოლოდ ამქვეყნიად არსებობს და ჩვენი მიწიერი ყოფისთვისაა აუცილებელი, ხოლო სიყვარული ჰგვის უკუნისამდე. როგორია ღვთაებრივი სიყვარული? —ახალმა აღთქმამ განაცხადა საოცარი რამ: „ღმერთი სიყვარულია“ (ინ.4,8). ამის სრული სისავსით უწყება ვერ შეძლო ვერცერთმა რელიგიამ. ქრისტემდებ და შემდგომაც ადამის მოდგმას არ უხილავს ღმერთი, რომელიც მისთვის მსხვერპლად გაიღებდა თავის თავს და ცხოვრების

ერთადერთ გზას გაუკვალავდა. „შეიყვარეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (ინ. 13,34); „ზარავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მოყვასისათვის (ინ. 15,13). —ბრძანებს იესო. ქრისტიანობამ აბსოლუტურად სხვა გაგება შესძინა მოყვასის ცნებას. მართლმორწმუნეთათვის მოყვასია ყველა, —მისი ერის თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი, ნაცნობი თუ უცნობი, დამნაშავე თუ უდანაშაულო, მდიდარი თუ ღარიბი, კეთილისმყოფელი თუ მტერი! „მე გუეზებთ თქვენ, გიყვარდეთ თქვენი მტერნი, დალოცეთ მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენს მღვანეთსა და შეურაცხყოფელთათვის, რათა იყოთ თქვენ შვილინი მამისა თქვენისა ზეციერისა“ (მთ. 5,44-45). ეს არის მანამდე არსმენილი და არგაგონილი სიტყვები, მანამდე არსად და არასდროს გაცხადებული სიმაღლე ღვთაებრივი სიყვარულისა. ასეთი სიყვარულით აღსავსე იყო ჩვენი ხალხი საუკუნეთა მანძილზე. ამიტომაც, თავგანწირვით იცავდა იგი მოყვასს, სამშობლოსა და ჭეშმარიტ რწმენას და, ამავე დროს, სისხლით მორწყულ თავის მიწა-წყალზე სითბოს არ აკლებდა უცხოტომელთ. ჩვენს დევიზად იქცა რუსთველის უკვდავი სიტყვები: „მე იგი ვარ...ვის სიკვდილი მოყვრისთვის თამაშად და მიჩანს მღერად...“ „სიყვარული აღგვამადლებს“. ასეთმა დამოკიდებულებამ, ცხოვრების ასეთმა წესმა გადაგვტანინა ათასგვარი ქართველი და დიდმდე მოგვიყვანა. ჩვენ კი როგორ ვცხოვრობთ? აშკარად ჩანს, რომ მსოფლიო კარგავს ჭეშმარიტი სიყვარულის განცდას და მის ადგილს ვირტუალური გრძნობები და გაყალბებული სიყვარული იკავებს. ასეა აქაც. სხვადასხვა გატაცებას, რომელიც ადამიანს ხანმოკლე დროით ეწვევა ხოლმე, დღეს სიყვარული უწოდებენ. იგი, პირველ რიგში, ნამდვილი სიყვარულისაგან იმით განსხვავდება, რომ თავგანწირვის უნარისგან თითქმის სრულად დაცლილია, საკუთარ ინტერესებზეა ორიენტირებული და არსებობს მანამ, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების ეგოისტურ ზრახვებს რაიმე საფრთხე არ დაემუქრება. ბუნებრივია, ასეთ გრძნობებზე დამყარებული ურთიერთობა მყიფეა, ხანმოკლე და მას არაფერი აქვს საერთო თავდადებულ, ნამდვილ სიყვარულთან. მიჩვენებითი სიყვარული არის დღევანდელი ოჯახების



რღვევის მთავარი მიზეზიც. ცოლქმარს აღარ შეუძლიათ ერთმანეთს სათანადო პატივი მიაგონ, დადგენ პირად ინტერესებზე მალა და უღელი ერთად გასწიონ. რაკი მათ სიღრმისეული გრძნობები არ აკავშირებთ, მცირედი უსიამოვნების გამოც ადვილად ამბობენ უარს პასუხიმგებლობაზე და „ახალი სიყვარულის“ ძებნას იწყებენ. ზოგიერთი ოჯახი შეიძლება არც დაინგრეს, მაგრამ უსიყვარულობამ მუდმივი ჩხუბი და უთანხმოება წარმოშვას; ასეთ გარემოში კი ბავშვები ითრგუნებიან და მძიმე ხასიათი უყალიბდებათ. აცნობიერებს კი ამას დედ-მამა? აცნობიერებენ, რომ მატერიალური უზრუნველყოფა რომც ჰქონდეთ მათ შვილებს, ბავშვებმა თუ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან სასწავლებელში, ოჯახში, ვერ დაინახეს ერთგულება, პატივისცემა, პატიების, სწავლის მსახურებისა და გულითადობის მაგალითი, თავადაც ამ გრძნობებისგან დაცლილნი და ნაკლებეანნი იქნებიან, რაც შემდეგ მათ პირად ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედებს. მშობლები ამ ცოდვას როგორ გამოისყდიან? ქორწინება ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლოა. ეს არის ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება სულიერი და ზორციელი ერთობისათვის, რათა ერთმანეთს შეეწიონ იმ მდგომარეობის მისაღწევად, რასაც გულისხმობს განდმობა. ეს პროცესი ჰგავს ოქროს გამოდნობას, რაც ოჯახურ ყოფაში კლინდება ღვთის საიდუმლოდ ურთიერთმსხვერპლმეწირული სიყვარულით, განსაცდელთა ერთობლივი დათმენით და მოყვასისადმი მსახურებით. რა თქმა უნდა, განდმობის მიღწევის სურვილი არის ბერ-მონოზენური ცხოვრების მთავარი აზრიც, ოღონდ ამ შემთხვევაში სრულყოფის პროცესი განსაკუთრებულ მოღვაწეობას გულისხმობს. იგი უფრო რთული გზა არის და ნურავინ იფიქრებს, რომ ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ თავზეა ორიენტირებული. ბერ-მონოზენობა არის ასკეტური მსახურება ღვთისა და მოყვასისათვის ამ სიტყვის ფართო გაგებით. წმინდა წერილი ბრძანებს: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მა-

პრემიერ-მინისტრმა ბიზნეს ასანი ინიციატივაზე გააცნო

მოგების გადასახადისგან გათავისუფლება და მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრა; ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია და მთელი მთავრობისთვის ერთიანი ე.წ. რონტ ოფისის შექმნა, - ახალი ინიციატივები ბიზნესს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დღეს პირადად გააცნო.



პრემიერი 20-მდე ბიზნესასოციაციის წარმომადგენელს იმ უმთავრეს პრიორიტეტებზე ესაუბრა, რომლებზეც მთავრობა უახლოეს მომავალში, დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას წარადგენს.

სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, პრიორიტეტულია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა მთავრობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ასევე რეგიონების განვითარება და საგანმანათლებლო სისტემის რეფორმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკის შემქმნელებად რჩებიან სამინისტროები, თუმცა, ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, გადაწყვეტილებების მიღების ხანგრძლივობის, გამჭვირვალობის და ჩართულობის კონტროლს მთავრობის ადმინისტრაცია განახორციელებს. პრემიერ-მინისტრი მაქსიმალური აქცენტის გაკეთებას გეგმავს რეგიონების განვითარებაზე.

„მინდა, ყველა თქვენგანი გრძნობდეს, რომ არის მნიშვნელოვანი ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“, - მითხრობს პრემიერმა ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებს.

„ხშირად გვაქვს შეგრძნება, რომ რეფორმებს ვახორციელებთ, მაგრამ რეგიონებში გვაქვს სხვა საქართველო სხვა ადამიანებით. იქ სხვა რეალობა და ადამიანებს არ გააჩნიათ შეგრძნება, რომ რაიმე კუთხით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობა აქვთ. ამიტომ, ჩვენი მაქსიმალური აქცენტი გადატანილი იქნება რეგიონების განვითარებაზე, რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარებაზე და ამ პროექტების სწორ პრიორიტეტულად განსაზღვრვაზე, რათა ისინი მაქსიმალურად პასუხობდეს რეგიონში არსებულ მოთხოვნებს და გამოწვევებს“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. პრემიერის შეფასებით, სერიოზული რეფორმებია განსახორციელებელი საგანმანათლებლო სისტემაში.

საქართველოში დაინერგება საგადასახადო რეფორმის ესტონური მოდელი, რომელიც მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას და მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრას გულისხმობს;

უპირველეს ყოვლისა, საუბარია სკოლებში ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებაზე, ქვეყანაში პროფესიული განათლების პრესტიჟის ზრდასა და უმაღლესი განათლების ფუნდამენტურ რეფორმაზე, რომელიც ქვეყანაში არსებული მოთხოვნების დინამიურ კვლევას დაეფუძნება.

საქართველოში დაინერგება საგადასახადო რეფორმის ესტონური მოდელი, რომელიც მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას და მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრას გულისხმობს;

„მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად სწორად დაიხარჯოს სამთავრობო რესურსი და არ ვაწარმოებდეთ მომავალ პოტენციურ უმუშევრებს, როგორც ეს, სამწუხაროდ, დღეს ხდება“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

იგეგმება - საგადასახადო-ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის მაქსიმალური რეგლამენტირება, რათა თითოეული შემოწმება დროში იყოს შემოფარგლული;

გიორგი კვირიკაშვილმა ბიზნეს-მენებს მაღლობა გადაუხადა იმისთვის, რასაც ისინი ქვეყნისთვის აკეთებენ და მიაწოდა ინფორმაცია, რომ მთავრობა, უმთავრესი პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, თითოეული სამინისტროს პორტფელის პრიორიტეტიზაციის პროცესშია.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მთავრობა მუშაობს ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებულ ცვლილებათა პაკეტზე, რათა, ეკონომიკური დანაშაულისას, თავიდან იყოს აცილებული წინასწარი პატიმრობები;

უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტები სამი კრიტერიუმით გამოვლინდება - რამდენად აქტუალურია საკითხი საზოგადოებისთვის, არის თუ არა ის თანხვედრაში ქვეყნის განვითარების სტრატეგიასთან და როგორია მისი გადაჭრის რესურსი.

განხორციელდება საგამოძიებო სამსახურის მოქმედების მაქსიმალური რეგლამენტაცია;

დამწვები ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნება სტარტაპების დაფინანსების მექანიზმები.

მთავრობა, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს. ძირითადი აქცენტი ახალგაზრდებზე და ბიზნესწრეების წარმომადგენლებზე გაკეთდება. „ეს იქნება საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობის ძალიან მნიშვნელოვანი ლოკომოტივი. ეს ასევე ითვალისწინებს მთელი მთავრობისთვის ერთიანი ე.წ. Front ოფისის შექმნას და გადაწყვეტილებების მიღების დროის რეგლამენტირებას“, - განაცხადა პრემიერმა და განმარტა, რომ მთავრობის ად-

14 იანვარი ქართული ღრუბის დღეა

საქართველოს ახალი, ხუთჯეროვანი დროშა სახელმწიფო დროშად 2004 წლის 14 იანვარს გამოცხადდა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ ორგანული კანონი დაამტკიცა.

საქართველოს სახელმწიფო დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა წითელი ფერის დიდი ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხელებში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის, ბოლნისუკაცხური ჯვარი. საქართველოს სახელმწიფო დროშის სტანდარტული ზომები და ზუსტი გამოსახულება დადგენილია საქართველოს პრეზიდენტის 25 იანვრის №31 ბრძანებულებით. საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღიმართება: საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, საქართველოს სა-



კონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და სხვა ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებზე, აგრეთვე საზღვარგარეთ არსებული საქართველოს საელჩოების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობებზე, საზღვაო გემებსა და საზღვაო მიმოსვლის სხვა საშუალებებზე, რომელთა მიწერის ადგილი საქართველოს ტერიტორიაა. საქართველოს დროშაზე მოცემული გამოსახულება - ვერცხლის (თეთრ) ფონზე ერთი სწორკუთხა ჯვარი, კუთხეებში ოთხი მცირე ჯვარი - ზოგადქრისტიანული სიმბოლოა, რომელიც მაცხოვარსა და ოთხ მახარობელს განასახიერებს. ეს ზოგადქრისტიანული სიმბოლო, როგორც ჰერალდიკური ნიშანი, პირველად 1099 წელს ჯვაროსან გოფრუა ბუიონელის გერბზე დაფიქსირდა, ვინაიდან ამ პიროვნებამ მაცხოვრის საფლავის მცველის ტიტული მიიღო. ამ პე-

სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ დამტკიცდა



ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის დაფინანსებას მიიღებენ იურიდიული პირები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

- პლანტაციების რეაბილიტაციისათვის თანადაფინანსება იქნება:
 - კერძო საკუთრებაში არსებული პლანტაციების შემთხვევაში: იურიდიული პირებისათვის (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) - რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 60%
 - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 80%;
 - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული (იჯარით გაცემული) პლანტაციების შემთხვევაში:
 - იურიდიული პირებისათვის (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) - რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 70%
 - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულების 90%;
- სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები დამატებით უსასყიდლოდ მიიღებენ ჩაის პირველადი დამუშავებისთვის საწარმოო მანქანა-დანადგარებს, მოწყობილობებსა და ინვენტარს.
- პროგრამის ბენეფიციარებისათვის განხორციელდება ტექნიკური დახმარება, რომელიც ითვალისწინებს დახმარებას: ჩაის სწორად დამუშავების ტექნოლოგიებში, მარკეტინგში, რეალიზაციის არხების შექმნაში.
- ვრცლად პროექტის შესახებ იხილეთ: <http://e.gov.ge/rnsKA>

ჩინეთში ქართული ღვინის ცენტრი გაიხსნება

თებერვალში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ძიანსის პროვინციაში, სადაც 30 მლნ-მდე მოსახლე ცხოვრობს, ქართული ღვინის ცენტრი გაიხსნება. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2015 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქართული ღვინის ექსპორტის კუთხით - ზრდამ 2014 წელთან შედარებით 122%-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სულ 12 თვეში ექსპორტირებულია 2 672 154 ბოთლი (0,75 ლ). ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ.

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია ერიტაგე ოუნდაციონის წინასწარი შეფასებით, 2016 წელს ვაჭრობის თავისუფლების კუთხით მსოფლიოს 178 ქვეყანას

შორის საქართველო მე-3 ქვეყანა იქნება. წინა წელთან შედარებით საქართველოს შედეგი 4 პოზიციით გაუმჯობესდა და ბელგიას, ირლანდიას, ლუქსემბურგს, ლიდ ბრიტანეთს, ესტონეთს, აშშ-ს, თურქეთს და სხვა ქვეყნებს უსწრებს. რეიტინგი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა: რაოდენობრივი შეზღუდვა, ფასის მიხედვით შეზღუდვები, მარეგულირებელი შეზღუდვები, საბაჟო შეზღუდვები და მთავრობის პირდაპირი ჩარევა. საქართველოს ღია და ლიბერალური ეკონომიკა აქვს, არ აქვს აბარკოვლებები და ბარიერები საზღვრებზე და ის პროდუქცია, რომელიც ესაჭიროება მოსახლეობას, შემოდის დამატებითი გადასახადების გარეშე.

ს ა შ ო ბ ა ო ე ჯ ი ს ბ ო ლ ე

მაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ.1.27), – როგორი დიდი აზრია ჩადებული ამ წინადადებაში, რომელიც გვიცხადებს, რომ უფლის სადიდებლად მოწოდებული მარტომყოფობაც და ცოლ-ქმრის თანაცხოვრებაც დალოცვილია და ცხოვრების ამ წესის დარღვევა, მოშლა, ან დამახინჯება არ შეიძლება. უსიყვარულობასთან ერთად ჩვენი ყოფისთვის მეტად დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა ისეთი აზროვნებისთვის ხელშეწყობა, რომლისთვისაც ცოლდა ადარ არის ცოლდა, არამედ - ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა, ხოლო ცოლვის სიყვარული, – თურმე ნამდვილი სიყვარულის ერთ-ერთი სახე. სიტუაცია ისე ვითარდება, რომ უფლის მიერ დადგენილი მცნებების შეცვლაც კი სურთ, რათა ღვთისაგან არ იქნენ მხილებულნი, არამედ, მისაღებნი გახდნენ ყველასათვის. ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესს, დამცირებისა და დაცინვის ობიექტი ხდება. ეს არც არის გასაკვირი. ჯერ კიდევ ბრძენი სოლომონი წერდა: „ღვთისმგებლის დამრიგებელი დამცირებას მიიღებს, ბოროტეულის მამხილებელი, – შეურაცხყოფას“ (სბრძნ. სოლ. 9,7). როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა. რა თქმა უნდა, მას უყვარს ძე შეცდომილიც, ოღონდ მონანული, მაგრამ სძულს ცოლდა. ქრისტე მკვითრ ზღვარს ავლენს სიკეთესა და ბოროტებას შორის და ამბობს: „არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“ (მთ. 10.34). გავისწავლოთ პავლე მოციქულიც: „ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს... ვერც მუცხნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემოტვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი“ (1 კორ. 6.9-10). მათდამი ჩვენი სიყვარული იმით უნდა გამოეხატოს, რომ ვეცადოთ, როგორმე დავანახოთ მათი ცდომილება. ერთი პიროვნების სწორ გზაზე დაყენებაც კი, კეთილისმყოფელის მრავალ დანაშაულს დაჰფარავს. თუმცა ამის მიღწევა ადვილი არ არის, მით უმეტეს დღეს, როდესაც ამპარტავნების ხარისხი იმდენად დიდია, რომ ადამიანი ვეღარ იტანს შენიშვნას. ისიც არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ჩვენ ზნორად სხვაში ვხედავთ გამოხატულს, რაზეც ნაკლს და საკუთარი თავი გვაიწყობს. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ამბობდნენ: „შეიცანი თავი შენი“, რომაელებიც იმეორებდნენ: „NOSCE TE IPSU“ სახარებაც გვარიგებს: „რატომ ხედავ ბევრს შენი ძმის თვალში, ხოლო შენსაში დიერესაც ვერა გრძნობ?“ (მთ.7.3). საკუთარი თავის შეცნობა ზოგიერთს ადვილი ჰგონია და არ იცის, რომ სინამდვილეში პიროვნების სამსახურებასთან აქვს საქმე: 1. როგორადაც თვითონ ხედავს იგი საკუთარ თავს. 2. როგორც სხვები ხედავენ მას და 3. როგორიცაა ის სინამდვილეში. ყველაზე რთული ამ მესამე მდგომარეობის აღმოჩენაა, რადგან ჩვენში არსებული ამპარტავნებით სავსე ეგოისტური „მე“ ჩვენს სისუსტეებსა და მცდარ ნაბიჯებს მუდმივად გამართლებას უძებნის და შემწეობას მათ მიმართ; ეს კი რეალობის შეგრძნებას გვიჩილუნებს. გონიერია ის, ვინც სწორად განსჯის უნარს შეიძენს და თავის შინაგან სამყაროში ჩახედვისას არაფრის შეღამაზებას არ მოინდომებს. მაშინ მიემსგავსება იგი

იმ ჭეშმარიტ მჭვრეტელს, რომელიც უკვე ნათლად ხედავს თავისი სულის აქამდე ბუნდოვან, ან თუნდაც სრულიად უცნობ, ფრიად დაზიანებულ სამყაროს და მისი აღდგენისა და განახლებისაკენ ისწრაფვის. ჩვენი ნამდვილი „მე-ს“ დამახინჯების მიზეზი არასწორ ქმედებებთან ერთად ცუდ-მეტყველება და ცუდი აზრებია. საერთოდ, სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ კი მისდამი ზერელე დამოკიდებულებას ვიჩენთ და ვერ ვცნობიერებთ, რომ მას მარადიულ სიკვდილ-სიცოცხლესთან ღრმა კავშირი აქვს. რატომ აქვს სიტყვას ასეთი დატვირთვა? წმინდა იოანე მახარებელი მაცხოვარზე საუბრით იწყებს თავის სახარებას და ასე წერს: „პირველითგან იყო სიტყვა“ (ინ. 1.1). დიახ, მოციქული, რომელმაც განგვიცხადა, რომ ღმრთი სიყვარულია, სიყვარულთან ერთად, მას სიტყვადაც სახელდება, რითაც ხაზს უსვამს მაცხოვრის საღვთო, ბუნებით ძეობას და ამასთან ცხადყოფს მამის და მხოლოდშობილი ძის, სიტყვის, შემოქმედებით ძალას, რადგან ძე, როგორც შემოქმედი, მამისაგან ცალკე არ განიხილება: „სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა...და ყოველივე მის მიერ შეიქმნა“ (ინ. 1.1-3). სამყაროს წარმოშობის შესახებ ბიბლიაში წერია: „თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი...და იქმნა ასე. თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე ღმერთსა და ღმერთსა და იქმნა ასე“ (დაბ. 1.3,6,7,14,15)... ანუ სიტყვით ხდება დაბადება, ქმნილებათათვის სიცოცხლისა და ფუნქციის მინიჭება, რაც ღმრთის თვისებაა! ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვასა ხელს, როგორც პიროვნებისათვის, ისე საგნისა თუ მოვლენისათვის, რადგან მასში ჩადებული შინა არსი ბევრ რამეს განსაზღვრავს. სახელდება თავდაპირველად ყოველდღე დასამუშავებელი მიერ მოხდა: „ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე... მყარს ღმერთმა უწოდა ცა, ხმელეთს-მიწა“ (დაბ.1.5.8.10), ადამსაც სახელი მან დაარქვა... შემდეგ კი ღმერთმა მეტყველების უნარი და სახელდების უფლება, ცოცხალ არსებათა შორის ერთადერთს, თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს უბოძა, როგორც შესაქმნის გვირგვინს. ადამს სახელი დაარქვა პირუტყვებს, ცის ფრინველთა და ველის ცხოველთა, ასევე მის შემწედ შექმნილ ქალს; დაცემის შემდგომ ადამიანმა სახელები უწოდა თავის შთამომავლთ, საგნებს, გარემო-სამყაროს და ა.შ. სამოთხეში ურთიერთობა ღმერთსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის სრულიად დაუბრკოლებელი იყო და პირველმშობლები ერთიმეორეს აზრისმიერად ეზრახებოდნენ. ცოდვით დაცემის შემდგომ კი ეს კავშირი დაირღვა; ჩვენი გრძობების გამოსავლენად და ერთმანეთთან ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელი გახდა მატერიალური სიტყვისა. ღმრთის მსგავსად, ადამიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვასაც ძალიან აქვს. ოღონდ, უფლისგან

განსხვავებით, მისი ძალა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. იცოდეთ, არცერთი სიტყვა უკვალოდ არ ქრება და ღვთის წინაშე ჩვენი მეტყველების გამოც განვისჯებით. ამიტომაც წერს მათე მახარებელი: ყოველი ფუჭი სიტყვისთვის, რომელსაც იტყვიან კაცი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს, რადგან ჩვენივე სიტყვებით განვმართდებით და ჩვენივე სიტყვებით გავმტყუნდებით (მთ.12,36). ჩვენ კი როგორი უგულისხმონი ვართ! ფუჭ საუბარზე რომ აღარაფერი ვთქვათ ნახეთ, როგორი შემწეობა უწოდებოდა ჩვენი ბაგები დაცინვით, რისხვით, შეურაცხყოფით, ცილისწამებით, სიცრუით, სიტყვის გატეხვით, უმადურობით, ცრუ ფიცით, წყევლით, გინებით... „ენა მცირე ასოა, და დიდად კი მძლავრობს; აპა, რა მცირე ცეცხლი ბუგავს დიდ ტყეს“ და „სავსეა მომაკვინებელი გესლით“ (იაკ.3,5, 8). „ენით ვაკურთხებთ ღმრთის და მამას და ენითვე ვკმობთ ღმრთის ხატად და მსგავსად შექმნილ კაცთაც“ (იაკ.3,9). ამიტომაც, თუ ვინმეს „ღმრთის მოყვარე ჰგონია თავი და ლაგამს არ ამოხდებს ენას, იცოდეთ, თუ მისი ღვთისმოსაობა“ (იაკ.1, 26). ერთმა კაცმა სოკრატეს ჰკითხა: იცი რა უთქვამს შენზე შენს მეგობარს? სოკრატემ კითხვა შეუბრუნა: „დარწმუნებული ხარ, რომ რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?–ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რადგან სხვისაგან მივიმინე.–რაც უნდა მითხრა, კარგი ამბავია?–არა, პირიქით. – ე.ი. შენ უნდა მითხრა რაღაც ცუდი, და არც იცი, ეს რეალობას შეესაბამება თუ არა. სარგებლობის მომტანი თუ მინც არის? – ვფიქრობ, არა. – თუ ინფორმაცია, რომელიც გინდა მომწოდო, არ არის არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო, რა აზრი აქვს მის თქმას?“ – უპასუხა სოკრატემ და განეშორა მოსაუბრეს. დღეს ასე ცოტა ვინმე თუ მოიქცევა. ჩვენმა ყოფამ ინტრიგას დიდი გასაქანი მისცა, ფაქტობრივად, ცხოვრების წესად აქცია იგი და ადამიანი სრულიად დაუცველი და ტოვა. ეს ქვეყანას ძალიან დაზარალებს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სამწუხარო ფაქტიც, რომ დიდი ხანია, ვაუბრებ და ახლა უკვე გოგონებიც საკუთარი მშობლების მისამართითაც არ ერიდებიან ბილწსიტყვაობას და ვერც ხელებიან, რომ თავის თავს იწყველიან და სასტიკ სასჯელს განიწესებენ, რადგან მშობლის შეურაცხყოფის ღმრთი განსაკუთრებულად სჯის. საერთოდაც, წახალისება ხდება უცენზურო გამოთქმების და ტირაჟირება ავადმყოფური აზრების. ეს სიკვდილის გზაა, ჯოჯოხეთის წყვილადისკენ მიმავალი გზა. ღმრთიმა ყველა იხსნას ასეთი დაცემისაგან, მისცეთ სიტყვა წმინდა და მართალი და გულისხმისყოფა ბოროტისაგან თავის დასაღწევად. ერთ-ერთი ყველაზე დიდი საქმე, რაც კი შეიძლება ამქვეყნად აღასრულოს ადამიანმა, არის ლოცვა. იგი საუბარია ღმერთთან, სინანულია, მის წინაშე სულისა და გულის განფენა. ეკლესიის და სასულიერო პირებისათვის ლოცვა პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ იგი

ასევე მოვალეობაა საერო პირთათვის. აი, როგორ გვარიგებს მოციქული: „უჭირს რომელიმე თქვენგანს? ილოცოს; ხარობს ვინმე? ფსალმუნნი ივლობოს...რწმენის ღოცვა იხსნის სნეულს...და თუ ცოდვები აქვს ჩადენილი, მიეტევება; ილოცეთ ერთმანეთის გამო...ბევრი რამ ძალუძს მართლის ღოცვას“ (იაკ. 5. 13, 15-16). მართალში კი მაცხოვრის მცნებებით მცხოვრები პიროვნება იგულისხმება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულით იქნება შემოსილი, რადგან „სიყვარულია სიმტკიცე სრულქმნილებისა“ (კოლ.3,15). ასეთი ადამიანი სხვათაგან დიდად განირჩევა. იგი „სულგრძელია და ტკბილი. სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმალლობს, არ ზვაობს, არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ შეჰხარის უსამართლობას, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს (1 კორ. 13.4-9). სიყვარულის გარეშე კი, ღვთის წინაშე, ნებისმიერი სათნოება აზრს კარგავს და უქმდება. აი, რა სულისმომკრულ სიტყვებს ამბობს წმ. პავლე მოციქული: „კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდეთ, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღერავე... წინასწარმეტყველების მაღლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს სრული რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ...მთელი ჩემი ქონება რომ გავყიდო გლახაკთათვის, და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა მარგია“ (1 კორ.13.1-3). ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ღვთაებრივი სიყვარული მოვიპოვოთ. ეს უნდა იყოს კაცთა მოდგმის ცხოვრების მიზანი. ამიტომაც ბრძანებს წმინდა წერილი: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, – აი, უპირველესი მცნება და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მარკ.12.30-31). როგორც წმინდა იოანე ოქროპირი წერს: „ღმერთმა მრავალი გზა დასაზა მასთან მისასვლელად. ზოგნი ქალწულებით ბრწყინებენ, სხვანი ქორწინებით განდიდნენ, კიდევ სხვანი ქვრივობაში უბიწოების დაცვით შეიმკნენ, ვიღაცამ მიწიერი სიკეთენი სრულად უარყო, ზოგმა, – სანახევროდ; ცოდვამ გძლია? სინანულით, აღსარებითა და ზიარებით განიწმინდე. მდიდარი ხარ? – მოწყალეა უხვად გაეცი. თუ გიჭირს და სხვას მატერიალურად ვერ შეეწევი, ავადმყოფს მიხედე, პატიმარი მოინახულე, ჭიქა წყალი მწყურვალს მიაწოდე, მწირი შეიფარე, მტირალთან იტირე, ვინმე სიტყვით ანუ გეშე... თუ ისეთი ღატაკი ხარ და დავრდომილი, რომ ვერავის დაეხმარები, უდვრტვინებლად გადაიტანე ეს ყველაფერი და მართალი იიბივით

უდიდეს ჯილდოს მიიღებ. ამგვარი იყო სახარებისეული ლაზარეს სათნოება. მას თავისთვის საზრდოც არ ჰქონდა, ვერც ავადმყოფს შეეწეოდა და ვერც საპყრობილეში მყოფს, რადგან უძლურების გამო, წამოდგომის უნარიც არ ჰქონდა, ამასთან ხედავდა სასტიკთა და უსჯულოთა პატივსა და განცხრომას და ერთი სიტყვაც არ დასცდენია გულისწყრომისა, არამედ მხოლოდ მადლობდა ღმერთს ყველაფრისათვის. აი, ასეთი ცხოვრების გამო ღაიმკვიდრა მან აბრაამის წილი.“ რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ხორცისა და სულის ტკივილს გაუძლო ისე, რომ განკითხვაში არ ჩავარდეს; ეს მოწამეობის ტოლფასია და სათნოებათა მწვერვალი. ჩვენს დროში ბევრი გაჭირვებულია და დავრდომილიც და თუ ვინმე შეძლებს წმინდა ლაზარესავით უდრტვინებლად, მადლობით მიიღოს განსაცდელი, დიდების გვირგვინს მოიპოვებს. ამ ეპისტოლეში ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს შევეხეთ მხოლოდ. ბუნებრივია, პრობლემები გაცილებით მეტი გვაქვს, ამას ემატება მთელს მსოფლიოში შექმნილი ფეთქებადსაშიში მდგომარეობა, ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღვრული სისხელი, დევნილთა სიმწარე და ზეკალინდელი გაურკვეველი დღის მოლოდინი... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მეტად მძიმეა, მაგრამ უფრო საშიში ხორცის მოკვდინება კი არა, სულის წარწყმედაა! უფალი მოწყალეა. მთავარია, შევიცნოთ თავი ჩვენი, გავაცნობიეროთ, სად არის ოქროს შუალედი, სადამდე უნდა ჰქონდეს ზღვარი ჩვენს ქმედებას, ჩვენს თავისუფლებას, რომ იგი უარყოფითი შედეგის მომტანი არ იყოს. მოვეუსმინოთ ერთმანეთს, უარი ვთქვათ კატეგორიულ აზროვნებაზე, უარი ვთქვათ ჩვენს სისუსტეებზე, რათა შევძლოთ სულიერად განახლებული ცხოვრება დავიწყოთ, რომ ჩვენზეც აღსრულდეს პავლე მოციქულის სიტყვები: „ოღესლაც ზოგიერთი თქვენცა იყო ცოდვის მონა იყო, მაგრამ განიბანეთ, მაგრამ განიწმინდეთ, მაგრამ განმართლდით უფლის ჩვენი იესო ქრისტეს სახელით და ღმრთის ჩვენის სულით.“ (1 კორ.6,11) ჩემო სიყვარულო სულიერო შეიღებო: ქართველნი, აფხაზნი, ოსნი, უდიდნი, ქურთნი, იეზიდნი, ბერძენნი, რუსნი, აზერბაიჯანელები, სომეხნი, ებრაელები, ქისტნი, ჩეჩენნი, ლეკნი და ყოველნი შეიღო ივერიისა, ჩვენს სამშობლოში მკვიდრო და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულენი, ანთებული სანთლით კვლავაც მივეგებოთ ბეთლემს მიმავალ ყოვლდმშობლად ღვთისმშობელსა და მართალ იოსებს. დავითის ქალაქს უკვე უახლოვდებიან მოგები, სადაცაა მწყემსებიც მოისმენენ ანგელოზთა საგალობელს. მაშ, ჩვენც ნუ დავყოვნდებით, სულით მივეახლოთ ახალშობილ ყრმას და მუხლმოდრეკით შევთხოვოთ: შენი ვარ, გვაცხოვნე ჩვენ! ყველას გილოცავთ შობა-ახალწელს და გისურვებთ, რომ ამ დღეების მადლით მოხდეს ჩვენი განწმენდა, განახლება და სიკეთით აღვსება. შევიყვაროთ და გავიხაროთ ერთმანეთით; მაშინ ღმერთიც შეგვიყვარებს და გვაცხოვნებს. ღმერთმა დაგლოცით და სულიერად აღვამადლოთ.

ილია II, კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

გაგზავნი აღმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელს უახლეს



ნობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა ქაჯაია და გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა გამგეობაში ნობის მუნიციპალიტეტის აღმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრა სამუშაო ხასიათის იყო და საუბარი მოსახლეობის მიერ დასმული პრობლემების სწრაფ რეაგირებასა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილ და განსახორციელებელ პროექტებს შეეხო.

გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსმა ანტონ ვარდიამ დამსწრე საზოგადოებას, მიწების ინვენტარიზაციაზე მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც ახლო მომავალში მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდება. გამგეობის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ჯენეტი ბერაიამ კი გამგებლის წარმომადგენლებთან, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის 591 დადგენილებით მალაღმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის შესახებ ისაუბრა.

ესპანური კომპანია სოფში საკმაოდ დიდი ინვესტიციით უემოდის



ევროპაში ერთ-ერთი ძლიერი კომპანია „მაისტარლენდი“ საქართველოში, კერძოდ სოფში 30 მილიონიან ინვესტიციას განახორციელებს. საქმე ეხება ქალაქის წარმოებას, მაკულატურის გადამუშავებას.

მიმდინარე წლის 14 იანვარს ინვესტორებმა ის ტერიტორია დაათვალიერეს, სადაც ქარხანა უნდა აშენდეს (ყოფილი დაფნის კომბინატის შენობა). კომპანია „მაისტარლენდი ჯორჯიას“ დირექტორმა გიორგი ორთოიძემ, სოფის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის წარმომადგენელმა დავით კოდუამ, მაჟორი-

ტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ, სოფის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა ქაჯაიამ და ინვესტორებმა იმ დეტალებზე ისაუბრეს, რაც მშენებლობას, წარმოებას, კადრების გადამზადებას და რიგ საკითხებს ეხება. ინვესტორები

სოფში იცხოვრებენ და პროექტის მსვლელობას თავად გააკონტროლებენ.

პროექტი სოფის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას თაოსნობით ხორციელდება. იდენტური წარმოება მეზობელ ქვეყნებში არ არსებობს. საქართველო არის ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც კომპანია ინვესტირებით დაინტერესდა, რასაც ხელი ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა ფონმა შეუწყო. კომპანია ქალაქის გადამამუშავებელ ქარხნებს ვალენსიასა და ინდონეზიაში ფლობს. საქართველოში, კერძოდ სოფში რიგით მესამე ქარხანა აშენდება.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის პრეზენტაცია

ფოთში, ვალერიან გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტის პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრას პარლამენტარები, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ლევან შონია, განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, მუნიციპალიტეტების გამგებლები, მერები, საკრებულოებს თავმჯდომარეები, რეგიონის საბავშვო ბაღების დირექტორები, მეთოდისტები და აღმზრდელ პედაგოგები დაესწრნენ.

სოფში სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საახალწლო ნობათი გადაეცა



ნობის მუნიციპალიტეტის უმწვეოთა სასაბჭოში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის პირველმა მოადგილემ კობა ქანთარია, სოფის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას შობა-ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ნობათი გადასცეს. საჩუქრები 54 ოჯახის 120-მა ბენეფიციარმა მიიღო.

სტუმრებმა უმწვეოთა სასაბჭოს ბენეფიციარებს მიულოცეს დამდეგი შობა-ახალი წელი და ბედნიერი დღეები უსურვეს.

ტრენინგი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის



ა(ა)იპ „ნობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ სტრუქტურული ერთეულების მხარეულიებისთვის შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ წარმომადგენლებმა გრიგოლ რუხაძემ და ნანა ლაშქარავამ ჩაატარეს ტრენინგი თემაზე: „ხუთი გასაღების პრინციპი სურსათის უვნებლობისთვის“.

ტრენინგს 22 მზარეული ესწრებოდა, რომლებმაც წარმატებით გადალახეს 70%-იანი ბარიერი და მიიღეს სერტიფიკატები.

სანამ საჯარო სამსახურში, კერძოდ პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლად არ დავინიშნე, არ მცოდნია, როგორი ლამაზი და მიმზიდველი ყოფილა ჩემი სოფელი. მისი სიდიადე დავინახე აიას სოფიას ტაძრის ნანგრევებიდან, ახლად აღმშენებული ტაძრიდან. გადახედავ და გული სიამაყით მეღსება, იქიდან ულამაზესი ხედი იშლება. არ შეიძლება აღამაინმა ამ სილამაზეს შეხედოს და პრობლემების მოგვარებაში მოსახლეობას ხელი არ შეუწყოს.

თუმანი, ასევე ამ ქუჩის ბოლოშია ფლეთილი ქვის კარიერი და მძიმეტონიანი მანქანებით ხდება მათი გადმოზიდვა, რის გამოც გზა მთლიანად მოშლილია. ეს ოთხკილომეტრიანი ქუჩა დღეს სავალალო მდგომარეობაშია. განსაკუთრებით უჭირს მოძრაობა სასკოლო ტრანსპორტს, რომელსაც ბავშვები ჩამოჰყავს ჯახუთის უბნიდან. უგზობა ხშირად ხდება მანქანის მწყობრიდან გამოყვანის მიზეზი. ვისურვებდი, რომ ეს პრობლემა ამ წელს გადაეწყვიტა მუნიციპალიტეტს. ასევე ურთულეს მდგომარეობაშია

2016 წლისგან ბევრ სიხეთას ველით

გასული წელი მიიღია და იგი ისტორიის კუთვნილება გახდა. როცა თვალს ვავლებთ გუშინდელ დღეს, სალაპარაკოც გვაქვს. 2015 წელს საგაზაფხულო ხვნა-თესვის პროექტთან დაკავშირებით. სოფელში მოიხნა და დაითესა 385 ჰექტარი მიწის ფართობი. სამი წელია ეს პროექტი ხორციელდება და მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ მოსახლეობას ნამდვილად შეუწყო ხელი. ამ პროექტის საშუალებით წლების განმავლობაში დაუშუშავებელი მიწები დამუშავდა. დღეის მონაცემებით სოფელში არ არის გლეხი, რომლის ნაღია სიმინდით არაა სავსე. უდიდესი მადლიერება მინდა გამოვხატო მთავრობის მიმართ ასეთი თანადგომისთვის.

ბესიკის ქუჩა, რომელიც ცენტრს „ოქროს საწმისის“ დასახლებასთან აკავშირებს. არადა ამ ქუჩით სარგებლობს მოსახლეობა. ასევე ჩვენს სოფელს არა აქვს მაგისტრალური წყალსადენი, გაზი, არადა ის 500 მეტრამდეა მოსული. მხოლოდ კეთილი ნების გამოხატვაა საჭირო, რომ მოხდეს სოფლის დაქსევევა. 2016 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა მთლიანად მოხმარდება სოფელში გზების რეაბილიტაციას, რომელიც განხორციელდება უახლესი ტექნიკით. ასევე დიდი სურვილი მაქვს, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდეს სოფელში არსებულ სამედიცინო ცენტრს, რომელსაც ემსახურება ბრწყინვალე ექიმი მაია შამუგია და ექთანი დოდო ტყეშუჩავა. მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ ნორმალური სამუშაო პირობები, მაინც ახერხებენ ყველანაირი პროცედურის დროულ და ხარისხიან ჩატარებას.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ყოველწლიურად, შესაძლებლობის ფარგლებში, ვცდილობთ, ნელ-ნელა მოვაგვაროთ არსებული პრობლემები. 2015 წელს ამ პროგრამით 50 ათასი ლარის ფარგლებში გარემონტებულიქნა საბავშვო ბაგა-ბაღის კვების ბლოკი. დღეს ამ საბავშვო ბაღში 80-მდე მოზარდია და ეს ხელშეწყობა მე მგონი დროული იყო. რა თქმა უნდა, ამით არ ამოწურულა ყველა პრობლემა, ბაღში კიდევ ბევრი ოთახია აღსადგენი, თვითონ შენობა არაჩვეულებრივი პროექტია და მას მიხედვით სჭირდება.

საკეთებელი რა თქმა უნდა ბევრია ძნელია ყველა პრობლემა ერთდროულად გადაწყვიტო, მაგრამ პრიორიტეტული პრობლემები აუცილებლად უნდა იქნეს მოგვარებული და ამაში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის დიდი იმედები გვაქვს. მათი თანადგომით, შესაძლებლობის ფარგლებში ეტაპობრივად შევძლებთ ამ პრობლემების მოგვარებას.

ასევე, 2015 წელს საკვიკინიოს უბანში არსებულ წყაროს წყალს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები და დღეს ულამაზესი წყაროს წყალი აქვთ. ამ უბნის თითქმის ურავლესობა ზაფხულიდან მოიხმარს ამ წყალს. ამოშრობილიქნა მიმდებარე ფართობები. ორკილომეტრიანი არხი ამოიწმინდა და დღეს უკვე წყაროს წყალი არ დატბორავს მიმდებარე ფართობებს.

საკეთებელი ბევრია. შესაკეთებელია სოფელში არსებული თითქმის ყველა ქუჩა, განსაკუთრებით უკიდურეს მდგომარეობაშია საკვიკინიოს უბანში არსებული ლევან გოთუას სახელობის ქუჩა, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტს აკავშირებს ზუგდიდთან. ეს გზა არის სამხედრო შემოვლითი გზა ზუგდიდისკენ. ჩვენ გვესაზღვრება აბას-

საკეთებელი ბევრია. შესაკეთებელია სოფელში არსებული თითქმის ყველა ქუჩა, განსაკუთრებით უკიდურეს მდგომარეობაშია საკვიკინიოს უბანში არსებული ლევან გოთუას სახელობის ქუჩა, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტს აკავშირებს ზუგდიდთან. ეს გზა არის სამხედრო შემოვლითი გზა ზუგდიდისკენ. ჩვენ გვესაზღვრება აბას-

ბოლოს მინდა ყველას მოგილოცოთ შობა-ახალი წელი, ფეხბედნიერი ყოფილიყოს 2016 წელი. სიმშვიდე, სიყვარული, ზვავი და ბარაქა არ მოშლოდეს სრულიად საქართველოს, ეს წელი ყოფილიყოს მეტი სიკეთის მომტანი. **მარინე ლაგვილაკა, გამგებლის წარმომადგენელი პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში.**

ხალხის აზრის გათვალისწინებით

ძველი ხიბულა, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებული სოფელია. იგი მოკლებული იყო მუნიციპალიტეტის მხრიდან ყურადღებას და მზრუნველობას. მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში, მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა. ყოველ წელიწადს, სოფელს უკეთესობა ეტყობა. ეს შეეხება გზას, საბავშვო ბაღს, ხიდბოგირს, მოსახლეობის დასაქმებას და ასე შემდეგ.

გახდა კეთილმოწყობილი და კომფორტული. განახლდა ბავშვების კვებისა და საწოლი ოთახის ინტერიერები, შემოტანილი იქნა ახალი ინვეტარი, დამონტაჟდა ცივი და ცხელი წყლის მიწოდების სისტემა. ამით ბაღის პერსონალსაც გაუადვილდა საქმე და აღსაზრდელების მშობლებიც კმაყოფილები არიან. აღნიშნული სამუშაო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

დღეს, დიდი კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო ძველხიბულაში განხორციელებული პროექტები, რომლის შედეგადაც აქაურ მაცხოვრებლებსა და სტუმრებს ბევრი პრობლემა მოუგვარდა. ეს პირველ რიგში შეეხება ადმინისტრაციული ერთეულის (ძვ. ხიბულის) ცენტრიდან საჭანიოს უბნისკენ მიმავალ გზას. ამ გზაზე გავლა არათუ ტრანსპორტით, ქვეითადაც შეუძლებელი იყო. რადგან იგი დაიმეწყრა და ქვევით იწყო სვლა. მასზე ჯერ მოხრეშვის სამუშაოები ჩატარდა, მოსაზღვრე გორაკზე ჩამოიჭრა მიწა და ამით გაფართოვდა ძველი გზა, შესრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, სულ ამისთვის დაიხარჯა 350 000 ლარი.

მინდა თანადგომისთვის, ზრუნვისთვის და ყურადღებისთვის ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს: ბატონებს გოჩა ქაჯაიას, ედიშერ ჯობავას, ვარაზ გაბედავას და მათთან ერთად სხვა სამსახურების უფროსებს, ჩემი სოფლის მცხოვრებლების სახელით მადლობა გადავუხადო. ჩვენ გვჯერა, რომ წინ სხვა პროექტების განხორციელებაც გველოდება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, როგორც მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად გამოცხადებული, საბავშვო ბაღს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, იგი

გომი გომინაშა, გამგებლის წარმომადგენელი ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში.

მოსახლეობისთვის გაკეთდა

უპირველეს ყოვლისა მინდა მივულოცო შობა ახალი წელი ხობის მუნიციპალიტეტს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას. 2016 ყოფილიყოს ბედნიერების, ჯანმრთელობის, ზვავისა და ბარაქის მომტანი წელი...

ახალი ხიბულის მოსახლეობის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო მთავრობას აღნიშნული პროექტის მხარდაჭერისთვის, ასევე სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის სს „არქეოპილისის“ დამფუძნებელს, ბატონ დემურ გადელიას და მის თითოეულ თანამშრომელს...

ნაყოფიერი იყო გასული წელი ახალხიბულელებისთვის. მოგვარდა ჩვენი მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, ცენტრალური გზის კეთილმოწყობა. დასრულდა ზუგდიდი, ნარაზენი, ძველი ხიბულა, ახალი ხიბულა, ზუბის დამაკავშირებელი 24 კილომეტრიანი გზის სარემონტო სამუშაოები, რომლის 5 კილომეტრიან მონაკვეთზე ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, გაკეთდა შავსაფარიანი ასფალტის გზა. მოეწყო 3 მილხიდი, აშენდა 4 ახალი ხიდი, მათ შორის ერთი 21 მეტრის სიგრძის, გაკეთდა საწრეტი არხები, დამონტაჟდა ავტოსაგზაო ნიშნები, კეთილმოეწყო სოფლის ადმინისტრაციული ცენტრი, საღურწკაიოს უბანში მოეწყო ახალი ავტომოსადგელი, რამაც მნიშვნელოვნად გაუადვილა მოსახლეობას გადაადგილება.

2015 წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, შესრულებულიქნა ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი ახალი ხიბულის და ზუბის საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაოები. ზუბის საბავშვო ბაღის შენობას მთლიანად შეეცვალა სახურავი. შეკეთდა ოთახები ორივე ბაღში, კეთილმოეწყო სველი წერტილები. აღნიშნული პროექტით გაშფერდის უბანში არსებულ ხიდბოგირს ჩაუტარდა რემონტი...

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და

რინელი ალაშია, გამგებლის წარმომადგენელი ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ინოვაციური სერვისები ბიბლიოთეკაში

ნობის მუნიციპალიტეტის თორსის ადმინისტრაციული ერთეულის ბიბლიოთეკაში 2013 წლიდან დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ათინათის“ წარმომადგენლების შემოსვლა პროექტით „გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ დაფინანსებით მიმდინარე „საქართველოს სტრატეგიული უწყვეტებისა და განვითარების ცენტრი „ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის“, რომლის საინიციატივო ჯგუფის ლიდერად არჩეულიქნა წარმატებული ბიბლიოთეკარი გვანცა კიკელიძე (ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრები: თათია ლატარია, ნანა ლატარია, მზია ტემონჯარია, მარიამ ხაბურზანია, ნია კვაშიტაძე, მეგი გაგუა).

ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია გვანცა კიკელიძე. ის გვესაუბრება ინოვაციურ სიახლეებზე.

სოფელ თორსაში ფუნქციონირებდა კულტურის სახლი, სადაც განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და კლუბი, მაგრამ ოთხმოცდაათიანი წლების ქარცეცხლმა თავისი დალი დაასვა. სწორედ ამ პერიოდში დადგა საკითხი ბიბლიოთეკა გაუქმებულიყო სოფელში, მაგრამ ქალბატონმა მედეა ლატარიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სოფელში ბიბლიოთეკა შენარჩუნებულიყო, ხოლო წიგნები ბიბლიოთეკის სპეციალისტს ქალბატონ დოლო კვარაცხელიას რამოდენიმე წელი სახლში ჰქონდა შენახული.

2000 წლიდან ბიბლიოთეკამ და კლუბმა გადაინაცვლეს სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში და იქ აგრძელებენ ფუნქციონირებას.

ბიბლიოთეკას ორი ოთახი ჰქონდა, რომელიც იყო დაზიანებული, იქ არიყო ინვენტარი, სკამები, ახალი წიგნები, კომპიუტერზე და ინტერნეტზე ხომ საუბარიც ზედმეტია. მაგრამ მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, მანაც გახერხებდით და ღონისძიებებს ვატარებდით.

ყველაფერი დაიწყო 2013 წელს, სოფელში არასამთავრობო ორგანიზაცია „ათინათის“ წარმომადგენლების შემოსვლით, რომლებმაც სოფლის აქტიური ქალბატონებს გააცნეს პროექტ „გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში დაფინანსებით მიმდინარე „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“-„ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის“, ასოციაცია „ათინათთან“ პარტნიორობით. მათ პროგრამის ფარგლებში გაგაცნეს სამომავლოდ სამოქმედო გეგმები. შეხვედრაზე ამირჩიეს ქალთა საინიციატივო ჯგუფის ლიდერად.

„გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში დაფინანსებით მიმდინარე „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“-„ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ხორციელდება კახეთსა და სამეგრელოში. შერჩეულია სამიზნე მუნიციპალიტეტები და სოფლები. სამეგრელოში შეირჩა 4 მუნიციპალიტეტი და 6 სამიზნე სოფელი.

ნობის მუნიციპალიტეტში თორსა, პირველი მისი. სენაკის მუნიციპალიტეტი (ნოქალაქევი, ახალსოფელი). აბაშის მუნიციპალიტეტი (სამიქოს). მარტვილის მუნიციპალიტეტი (ბანბა). პროგრამის ფარგლებში სამეგრე-

ლოს ქალთა საინიციატივო ჯგუფებმა ერთი წლის მანძილზე გაიარა ტრენინგები:

- * გუნდურობა და ლიდერობა
- * კომუნიკაცია;
- * პრეზენტაციის უნარ-ჩვევები;
- * ბიზნეს გეგმის შედგენა;
- * სტრატეგიული დაგეგმარება;
- * პროექტის წერა და პროექტის ფინანსური აღრიცხვის წარმოება;
- * პროექტის ანგარიშის მომზადება (ფინანსური/სიტყვიერი);
- * ელ.ფოსტის, CV შედგენა.
- * გასაუბრებაზე გასვლისას პროცესების მართვა.

ტრენინგებმა მოგვცა საშუალება შეგვეძინა ახალი უნარ-ჩვევები და თვისებები, რომელსაც რეალობაში, პრობლემების მოსაგვარებლად განვახორციელებდით.

ტრენინგ-კურსების დამთავრების შემდეგ ჯგუფმა გადაწყვიტა დაეწერა პროექტი, რომელიც სოფელში ერთ პრობლემას მოაგვარებდა. პრობლემების სიუხვე კი თემში ნამდვილად იყო. ბევრი ვიფიქრეთ საბოლოოდ კი არჩევანი ბიბლიოთეკაზე შევჩერეთ, რადგან განათლების ინვესტიცია, რომელიც ქვეყანას თუ სოფელს სასიკეთოდ დაუბრუნდება.

პროექტის სრულყოფილად განხორციელებისთვის აუცილებელი იყო ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა, რაც თანდათან ფინანსებას ითვალისწინებდა და თემის ჩართულობას გარკვეული თანხით. სამი კომპონენტის შეკვრა უნდა შეგვეძლებოდა, რათა პროექტი დაფინანსებულიყო.

ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა მხარდაჭერა გამოგვიცხადა პირველი დღიდანვე, რომ არა მათი მხარდაჭერა ამდენ კარგ საქმეს ვერ განვახორციელებდით.

სოფლის რწმუნებულების მხრიდანაც ყოველთვის გვქონდა მხარდაჭერა.

ქალებმა სტრეტიკები და ვამპსერით და შეეძლოთ ყველა საჭირო დოკუმენტი, მოლაპარაკებები განგვეხორციელებინა და შედეგსაც მივადწიეთ.

პირველი პროექტი „სიბრძნის საგანძური“.
საერთო ბიუჯეტი—6632 ლარი. ფონდი—5915 ლარი.
ადგილობრივი მუნიციპალიტეტი—505 ლარი.
თემის წვლილი 212 ლარი
პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა ბიბლიოთეკის სამკითხველო და წიგნადი ფონდის ოთახებს, ისინი აღიჭურვა ინვენტარით, თანამედროვე ტექნიკით და ინტერნეტით, განახლდა წიგნადი ფონდი.

დავიბადე 1983 წლის 29 სექტემბერს თორსაში.
1989-2000 წწ. ვსწავლობდი თორსის საჯარო სკოლაში.
დავამთავრე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი 2007 წ.
2007-2008 წ. პრაქტიკოს ექიმად ვმუშაობდი თბილისის ჩაჩავას სახელობის კლინიკაში.
2009 წლიდან ერთი წელი ვიმუშავე თბილისის მეოთხე კლინიკურ საავადმყოფოში და მქონდა პატივი, ამ პერიოდში მეთანამშრომლად პროფესორ ვაჟა გვანცელაძესთან, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ჩემს პიროვნულ და პროფესიულ ზრდაზე. მუდამ მახსოვს, მისი შეგონებები: თუ დახმარება არ შეგიძლია, არ ავნო! ეს ალბათ ცხოვრების კრედიო ყველა ადმიანისთვის.
2010 წ. მონაწილეობა მივიღე თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ კონკურსში; „უფასო ინგლისური ენის სამთვლიანი კურსები“.
2010 წლიდან მუშაობა დავიწყე თორსის ბიბლიოთეკაში სპეციალისტად.



საქართველოს სტრატეგიულმა განვითარების ცენტრმა დაგვაცავიშორა „კომპიუტერის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც სამი კომპიუტერი გადმოგვცა, რათა ადგილობრივებისთვის გვესწავლებინა კომპიუტერზე მუშაობა, მას აიტი სპეციალისტი თათია ლატარია ხელმძღვანელობს, რომელიც უნაგაროდ ასწავლის მსურველებს.

პროექტის წარმატებით დასრულებამ სტიმული მოგვცა აქტიურობა გაგვერძელებინა და მიღწეული შედეგი კიდევ უფრო გაგვემტკიცებინა, ვინაიდან სოფელში ინტერნეტით უზრუნველყოფა არ იყო, შესაბამისად ვერ ვეცნობოდით სიახლებს, რაც საბიბლიოთეკო ქსელში ხორციელდებოდა. ახლა, როცა ყველა ნიუანსი გამოვასწორეთ, არ გვქონდა უფლება სიახლეები არ შეგვემტკიცებინა ბიბლიოთეკისთვის. საბიბლიოთეკო ასოციაციის თავის ვებ-გვერდზე ჰქონდა გამოცხადებული კონკურსი „ინოვაციური სერვისები ჩემს ბიბლიოთეკაში“, რომელიც ითვალისწინებდა ბიბლიოთეკაში ახალი სერვისების შესახებ პრეზენტაციას.

პრეზენტაცია გამართა თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს 30 ბიბლიოთეკა. შეფასებას ახდენდა მხოლოდ დამსწრე საზოგადოება ქულების სახით; ადგილები ასე გადანაწილდა;

პირველი—საპატრიაქროს ბიბლიოთეკა;
მეორე—თორსის სათემო ბიბლიოთეკა;
მესამე—რუსთავის საბავშვო ბიბლიოთეკა.

პროექტს ახორციელებს „MAKULITERATURA GE“. ბიბლიოთეკაში არსებული უნარობრივად და ტექნიკურად მოძველებული წიგნების სანაცვლოდ ახალი წიგნების შეძენას. აქცია ასევე არის, შემეცნებითი ხასიათის, ახალგაზრდა თაობას ვუნერგავთ „გავუფრთხილდეთ ტყეს“. სასურველია ასეთ აქციებს ატარებდეს ყველა ბიბლიოთეკა, რადგან ეს არ არის დაკავშირებული კოლოსალურ თანხებთან, უბრალოდ, ადამიანურ საწყისზეა ორიენტირებული.

მუდმივად მაქვს ურთიერთობა საბიბლიოთეკო ასოციაციასთან და პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. ისინი სხვადასხვა პროექტებს გეგმავენ სამომავლოდ და უახლოეს ხანებში ჩვენს ბიბლიოთეკასაც ესტუმრებიან. მაქვს ბევრი იდეა და მოლაპარაკების პროცესში ვარ, მაგრამ ამას სიურპრიზად დავიტოვებ.


საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ასოციაცია „ათინათი“, UNDP-ის ფინანსური მხარდაჭერით განვახორციელებთ შემდეგი აქტივობები:

- * მარათონი—ირბინე ჯანმრთელობისთვის—თორსის საჯარო სკოლის მოსწავლეების ჩართულობით.
- * საქველმოქმედო აქცია—„ერთობა“, რომლის ფარგლებში თემში მცხოვრები შშმ ახალგაზრდის დაბადების დღე აღვნიშნეთ.
- * თორსის და პირველი მისის ბავშვებისთვის შემეცნებითი სახის გასვლა ტერენტი გრანელის სახელობის სახლ-მუზეუმში.

ზაცია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ გამოცხადებულ პროექტების კონკურსში, სადაც წარვადგინეთ პროექტი „ცოდნა სინათლეა“, რაც ითვალისწინებდა თორსის თემში არსებული მცირე დარბაზის რეაბილიტაციას, ექვსი დღეიანი ქალისთვის კომპიუტერის შესწავლას და ტრენინგების კურსს ოთხი თემის (თორსა, ხამისქური, ზეთა და პირველი მისი) ქალების ჩართულობით. კონკურსში ჩვენმა პროექტმა გაიმარჯვა. წარმატებით განვახორციელეთ პროექტით გათვალისწინებული ყველა საქმიანობა.

სხუთ დღეილ ქალს, ერთი მე-10 კლასულ ბიჭს, ჯამში 6 ბენეფიციარს კოსმეტიკურმა კომპანია AVON-ის, სამეგრელო ზემო-სვანეთის კოორდინატორმა სალომე ჭითანავამ საჩუქრად კოსმეტიკური საშუალებები გადასცა.

პროექტი „ცოდნა სინათლეა“
საერთო ბიუჯეტი—7207 ლარი. ფონდი—6167 ლარი.
ადგილობრივი მუნიციპალიტეტი—1040 ლარი.
თემის წვლილი—313 ლარი.
ტრენინგები ტარდებოდა შემდეგ თემებზე;
გუნდურობა და ლიდერობა;
ბიზნეს გეგმის შედგენა.
ევექტური პრეზენტაციის უნარ-ჩვევები
კომუნიკაცია;
სტრატეგიული დაგეგმარება;
გენდერული თანასწორობა.



„ყველით სამყაროს აქვს სიცოცხლის ვადა თავისი და თუ გვირგვინით გსურს შეამკო შენი დაისი, ნუ დაჩქარებ ყველების უქამოდ სიკვდილს, მაშინ მიიღებ ჭეშმარიტად ღვთაებრივ გვირგვინს“.

ამბესთან“, რომლებსაც პარიზიდან უგზავნიდა წერილებს. 1906 წელს რევოლუციონერების დასახმარებლად საქართველოში უცხოეთიდან იარაღის ჩამოტანის გამო დააპატიმრეს და 1908 წელს ციხეში გადასახლეს. 1916 წლიდან საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში. მისი თარგმანები ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენამენია. მან შეკრიბა ქართული ანდაზები (გამოქვეყნდა 1967) და ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი (ტ. I-III, 1950-1955). ასე იცხოვრა მან. განძი, რომელიც დაუტოვა ერს თედომ, სჭირდება დაცვა და გამოყენება. ულამაზესი ადამიანებითა და წიგნების გარემოცვით, სიყვარულითა და ღვთის წყალობით, წარსულში დაბრუნებით, უდიდესი ადამიანის

შუბლზე წარსული ძნელბედობის კაემანი ღრუბლად ვინ იცის რამდენჯერ დასწოლია, მაგრამ ღირსეულ ადამიანებს არასდროს შეშინებიათ. მან კარგად იცოდა ადამიანის დანიშნულება, ბრძოლა და შრომა, აღზრდა, სამშობლო, წიგნი... ყოველი ადამიანი ხომ თავის სატიკვარსა და აღსასრულს ისე განიცდიდა, როგორც კაცობრიობის ტრაგედია. თედოც ასე განიცდიდა. ტრაგედია იყო ის, რაც საქართველოში ხდებოდა. ეს კი არ გაიქცა, შეებრძოლა უსამართლობას, მას გააჩნდა ზნეობრივი სიწმინდე, ეროვნულობა, მანკიერებათა გმობა, არ უღალატნია ერისა და ჭეშმარიტებისთვის, თავის კალამს არასდროს უწერია ქვეყნის ძლიერთა კარნახით.

...იყავ მართალი ღმერთის წი-

გ ა ნ ძ ი ს ტ ო ლ ფ ა ს ი ჭ ი ბ ნ ი

ლიტერატურას, მწერლობას ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ცხოვრების, არსებული სინამდვილის შეცნობისთვის. იგი მუდამ იყო საზოგადოების აღზრდის იდეოლოგიური იარაღი, მისი მასწავლებელი. ოდითგანვე ლიტერატურის მთავარი დანიშნულება უპირველესად, ხალხის საკეთილდღეოდ ცხოვრების გარდაქმნაში გამოიხატებოდა. შემთხვევით როდი წერდა ქართველი ერის ჭეშმარიტი მამულიშვილი ილია ჭავჭავაძე, რომ „მეცნიერება და ხელოვნება იბადებიან ცხოვრებისგან და არსებობენ ცხოვრებისათვის. ისინი წინ მიდიან ცხოვრების მეორებით და მერე თვითონ ცხოვრება მიჰყავთ წინა...“

მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ილიას ამ მთავარ ესთეტიკურ პრინციპს ყავლი არ ეკავს, მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი შემეცნებით-აღმზრდებლობითი მნიშვნელობა. პირიქით, თანამედროვე ეტაპზე ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში უფრო მეტი აქტუალურობა შეიძინა...

სწორედ, ამის დასტური იყო ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის თედო სახოკიას სახელობის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გამართული სასიქადულო მამულიშვილის, მწერლის, მეცნიერის, მთარგმნელის

ნიერად იყო შერწყმული სახალხო მოღვაწისა და მეცნიერის, პრაქტიკულად მებრძოლისა და კალმის უანგარო მსახურის თვისებები. არა მარტო გარეგნობით, არამედ მრავალმხრივი საქმიანობის ხასიათითაც იგი მე-19 საუკუნის მოღვაწეთა ტიპური წარმომადგენელი გახლდათ.

თედოს სიჭაბუკე დაემთხვა სწორედ ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებულ ეპოქას, როდესაც კვლავ არნახული ძალით იფეთქა ჩვენი ხალხის წიაღში მიმალულმა მთვლემარე ძალებმა, ხოლო საზოგადო ასპარეზზე გამოსული მოღვაწის უწმინდესი ვალი. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერის წყლულთა“ განკურნება შეეძინა.

თედო სახოკია თავის დიდ მოძღვრად, სწორედ ილია ჭავჭავაძეს თვლიდა.

ამიტომ არის, რომ თედო სახოკიას სახელს უფრო ხშირად მე-19 საუკუნის უკავშირებენ. იგი ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და ივანე მახაბელის უმცროსი თანამებრძოლი იყო. მათთან ერთად ეწეოდა საზოგადო მოღვაწის მძიმე უღელს.

წიგნის წაითხვისას გვეუფლება გრძნობა, თითქოს თედო სახოკიასთან ერთად დაიბადე, გაიზარდე, დაობლი, იცხოვრე, იტანჯე, იღვაწე. ააშენე, დათესე და ბოლოს მასთან ერთად დაემშვიდობე სამშობლოს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწერალი სიმართლით, ეროვნული იდეებით გემოძღვრავს ჩვენს ქართველებს და ამასთან მოკრძალებით გვავსებს, გვაფრთხილებს „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსთვის უძგერს გული“, რომ „არავინ და არაფერი დავიწყებული...“

„მოიცა, ეს ვინ არის... ეს ბერიკაცი, ასე ჭაბუკურად რომ არღვევს ხალხს, თითქოსდა ცხრა ათეული წელი მის მხრებზე სიმძიმე კი არა, სულაც ფრთები იყოს... ვერ უყურებ თედო სახოკიას? მონადირეობის, კაფანდარა ტანისა, სახე სწორი და დახვეწილი, ოდნავ მოყვითალო ფერის, ფოლიანტების ზმირ სტუმარს, რომ გადაჰკრავს ხოლმე, უღვაშები ძველებურ ყაიდაზე დაბლა დაშვებული, მაღალი „შლაპა“ და ასეთივე მაღალი, გახამებული საყელო, ასეთი ახსოვთ თედო სახოკია მის მახლობლებს, მეგობრებსა და პატივისმცემლებს.

მაგრამ მისი ახლო გაცნობა, მასთან საუბარი მყისვე დაგარწმუნებდა, რომ იგი მარტო წიგნის კაცი კი არ იყო, ხალხის სამსახურში ყოველდღიურ ბრძოლა-ჭიდილში ჰქონდა გამობრძმედილი საკუთარი ხასიათი. თედო სახოკიას პიროვნებაში ბედ-

მწერალი როსტომ ჩხეიძე სობუი



დაუფასებელი ღვაწლის დაფასებით, დაიწყო მიჩქმალული ადამიანის შემოქმედების გაცოცხლება. საოცარია, რამდენი დიდებული ადამიანი რჩება ჩვენს მიღმა, რამდენ სიბრძნეს არ ვიცნობთ იმის გამო, რომ დამფასებელი არ ჰყავდა. მაღლობა ბატონო როსტომ, რომ მისი ღვაწლი დააფასეთ და გააცანით სრულიად საქართველოს. ვინ იცის, ამ ადამიანს რამდენი ტკივილი და შიში აუტანია ქვეყნის კეთილდღეობისთვის. რაოდენ ღვთიურია, როცა გიყვარს, იბრძვი ამ სიყვარულისთვის და ვერ აღწევ სიცოცხლეში ამ ბედნიერებას. ამ სიყვარულს კი სამშობლო ჰქვია. თუმცა უკვალოდ არაფერი ქრება, ერთ მშვენიერ დღეს, ეს ყველაფერი დაგიფასდება და ამას აკეთებს ადამიანი, ვისაც შეუძლია მასში ნახოს ის უდიდესი მაღლი, ის ღვთიური საქმე, რასაც სამშობლოსთვის სიცოცხლის ზავის დადება ჰქვია. თედომ თავისი სიბრძნე კი არ დამალა, არამედ გასცა ერისთვის...

ირველივე სიჩუქეა, თითქოს კედლებიდან წარსულის ლანდები გვიფურებდნენ, მთელი ეპოქა ჩვენს წინ წარსდგა. ალბათ თედოს სულიც აქ ტრიალებდა, სადღაც თედოს ხმაც გაისმა, იდიმის, უხარია თავის საქმეს გამგრძელებელი რომ გამოუჩნდა, მის სახელს, რომ სიყვარულით იხსენებენ, ისევ მოუნდა ჩვენთან დაბრუნება, თუმცა იცის, რომ შეუძლებელია, მაგრამ არასდროს მიატოვებს ამ ქართულ სამოთხეს, რომელსაც მუდამ აჩრდილივით თან დაჰყვება.

ადამიანები მიდიან ამ ქვეყნიდან და თან მიაქვთ სამშობლოს სიყვარული, მიდიან და აგრძელებენ სიცოცხლეს ამქვეყნიურ ცხოვრებაში. თედოც წავიდა, მაგრამ დაუტოვა ერს უდიდესი განძი, განძი რომელიც მუდამ გამოადგება ყველას და არასდროს გაუვა ფერი. ამ ადამიანს დაფასება სჭირდება. დღევანდელ საქართველოს, განსაკუთრებით კი ხობს თედოს ღვაწლის გაცნობა. საოცრად ბრწყინვალეა ეს ქვეყანა. მიწიერი სამოთხის-საქართველოს ლალ მკვიდრთა

ნაშე და სამართლიანი, რათა ყოველმა, რომელმა გიხილოს იუნოს შენზე იქაც, სადაც თავად არა ხარ, (პერაკლე ოპოლისელი „მეფის დარიგებანი“) და თუ ასე იცხოვრებ, მაშინ მიიღებ ჭეშმარიტად ღვთაებრივ გვირგვინს“, სწორედ ასეთი ცხოვრებით იცხოვრა ხობელმა ქართველმა, თედო სახოკიამ.

მაღლობა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორს ბატონ ბეჟან ნადარაიას ასეთი საგანმანათლებლო საქმეების კე-



თებისთვის, მისი დამსახურებაა რაიონული ბიბლიოთეკა თედო სახოკიას სახელს რომ ატარებს, იმ ღამაზე დღისთვის, რომელიც ხობს აჩუქა თედო სახოკიას გაცოცხლებით. მაღლობა ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის მთავარ სპეციალისტს ქალბატონ ლუიზა ცანავას, რადგან ხობის ბიბლიოთეკა არის არა მარტო წიგნთსაცავი, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, სადაც უამრავი ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმე კეთდება და ეს თქვენი ერთობლივი მუშაობის შედეგია. მაღლობა სვეტა ბუკიას, დოდო ბერაიას, მაყვალა ლიპარტიას, ყველას, ვინც ამ შეხვედრის საქმეში, მონაწილეობდა, ვინც ესწრებოდა ამ ღამაზე ღონისძიებას. განსაკუთრებული მაღლობა ირაკლი შონიას, რომელიც ყოველთვის გვერდით უდგას ყველას.

ქრისტესმეორე სიყვარულით

ნინელი-მზია ხუხია

როსტომ ჩხეიძის ახალი წიგნის, რომელიც განძის ტოლფასია, „მოციქულის“ პრეზენტაცია. წიგნში თანამეფილია ეთნოგრაფის, მთარგმნელის, ლექსიკოგრაფის თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა.

„თედო სახოკია ერთი შეხედვით, უფრო შინ მომუშავე, კაბინეტში კარჩაკეტილ მეცნიერს ჰგავდა. თხელი, კაფანდარა ტანისა, სახე სწორი და დახვეწილი, ოდნავ მოყვითალო ფერის, ფოლიანტების ზმირ სტუმარს, რომ გადაჰკრავს ხოლმე, უღვაშები ძველებურ ყაიდაზე დაბლა დაშვებული, მაღალი „შლაპა“ და ასეთივე მაღალი, გახამებული საყელო, ასეთი ახსოვთ თედო სახოკია მის მახლობლებს, მეგობრებსა და პატივისმცემლებს.

მაგრამ მისი ახლო გაცნობა, მასთან საუბარი მყისვე დაგარწმუნებდა, რომ იგი მარტო წიგნის კაცი კი არ იყო, ხალხის სამსახურში ყოველდღიურ ბრძოლა-ჭიდილში ჰქონდა გამობრძმედილი საკუთარი ხასიათი. თედო სახოკიას პიროვნებაში ბედ-

ნაირა ბერაია.

საახალწლოდ — ნამდვილი თოვლი!



კარგა ხანია ახალ წელს თოვლის გარეშე ვხვდებით, ამჯერად ბუნებამ ტრადიცია დაარღვია და 31 დეკემბერს, ღამით დაწყებულ წვიმას ფანტელებიც გამოერია და დილით არემარეთეთრად გადააქნტა.

თოვლის მოსვლამ, დიდებისგან განსხვავებით, პატარები უფრო გაახარა. გოგო-ბიჭებმა გული იჯერეს, სრიალითა და გუნდაობით, ბევრგან „წამოჭიმეს“ თოვლის ბაბუები.

ირგვლივ სიცილი და კისკისი ისმოდა. ქალაქის ცენტრში საგულდაგულოდ დადგმული ნაძვის ხე, სათამაშოებთან ერთად, ნამდვილმა თოვლმა გაალამაზა და საახალწლო ზეიმს მეტი სიხალისე და სიხარული შემატა.

ზამთარს, რა თქმა უნდა, თოვლი და ყინვა შეენის, თუმცა მას პრობლემებიც და საზრუნავიც საკმაოდ მეტი მოაქვს.

ქალაქში დაითოვლა მარად-მწვანე ხე-მცენარეები, გზები, ქუჩები, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დროულად ჩაატარა გაწმენდითი სამუშაოები, მთელი სამი დღის განმავლობაში მუშაობდა სპეციალური გამწმენდი ტექნიკა, რათა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, საახალწლოდ უპრობლემოდ გადაადგილების საშუალება ჰქონოდათ, როგორც ქალაქში, ასევე მიმდებარე სოფლებშიც და ახალ წელს რწმენით, იმედით, ფუძის სიმტკიცით, სიკეთით და „უკნხიბედინერით“ შეხვედროდნენ.

უოზა

ათასწლეული გასულა მას შემდეგ, რაც დედად წოდებულ მიწაზე მოდიან ჩვენი მსგავსნი, მოდიან რწმენით, იმედით, სიკეთით, სიყვარულით, მოდიან, რათა დასაბამიდან ქრისტეშობამდე და მას შემდგომაც სიკეთის სკივრს საკუთარიც მიუმატონ, ბოროტება სიკეთით შეცვალონ, ბნელი ნათლით, სიმძულვილი-სიყვარულით.

„ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსა“—მღეროდა ქართველი კაცი და თავის თავში ყოველთვის ატარებდა ქრისტესადმი სიყვარულს და მიმტკეველობას. ჩვენ ყოველთვის გვწამდა, რომ დადგება ზეობა ჭეშმარიტი სათნოებისა და სიყვარულისა.

...თეთრ იდუმალებაში გარინდულა გარემო, ხვავრიელად ბარდნის. ფანტელები შროშანებივით მოფარფატებენ ციდან. უმწიკვლოა და ხელთუქმნელი ირგვლივ. თოვლში ჩაკარგული სახლებიდან აქა-იქ ანათებს სანთელი. ბუხრებიდან ამოსული კვამლი ნაცრისფერ ღრუბლებს სწვდება, სიცოცხლე გრძელდება, გარეთ კი, ამ რძისფერ უსაზღვროებაში, მდუმარება მდერის, კი არ მდერის საგალობელს ალაკუნს.

„ქრისტე იშვა ბეთლემსა“—მოისმის მეზობლის სახლიდან „ალილოს“ ტკბილხმოვანება, ნაჯაფ-ნამაგარია სოფელი და დაღლილი, საშობაოდ გასუქებული ღორი დაკლულია.

ქვევრში ქრისტეს სისხლისფერი ღვინო ლაპლპებს. საშობაო ჩიჩილაკები ჭრელ-ჭრელი გრილიანდებითაა მოთული, ხე-ზეიმი სიცოცხლის უკვდავებისა, ხე სიყვარულისა, ხე ჩვენი ბავშვობის აუხდენელი ოცნებებისა, ხე ქრისტეშობისა. ვინ თოვლის პაპის თუ „სანტა კლაუსის“ ზღაპრულ საჩუქარს ელის, ვინ გაუსაძლისი ტკივილების შემდეგ მოგვრილ შვებს, ვინ პირველ სიყვარულს. ვინ ყრმათა სიმრავლეს, ყველანი ერთად კი, ყოფითი ამაოებით დასვრილი სულების გაწმენდას ევედრება მაცხოვარს, სულების გაწმენდას და ღვისმშობელი მარიამის წილხვედრის ქვეყნის გაძლიერებას.

წმინდა სამება იყოს ჩვენი მფარველი! ჩვენთან არს ღმერთი! ახალ წელს და ქრისტეშობის დღესასწაულს გილოცავთ.



„თეთრი ტიღან ფიფქი ტვიპა...“



ზეიმი გულგრილი არავინ დაუტოვებია გახარებული მშობლები ბავშვებთან ერთად ზეიმობდნენ. ერთმანეთს დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავდნენ და თავიანთ შვილებთან ერთად ყველას ბედნიერ და კაშკაშა მომავალს უსურვებდნენ.

ჯადოსნურ სამყაროს ჰგავდა ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღის დარბაზი, რომელსაც ამშვენებდა საგანგებოდ მორთული ნაძვის ხე. ღონისძიებას ელფერს მატებდა პატარების სიკეთითა და სიხარულით აღსავსე სახეები.

იყო სიმღერა ცეკვა და უამრავი საახალწლო ლექსი, რომელსაც ბავშვური ოსტატობით კითხულობდნენ ანდრო, გეგა, საბა, გიგა, ცოტნე, ლიზი, ქრისტინა, ნინა.

სალამო მართლაც ღამაში გამოვიდა, რისთვისაც დიდი მადლობა ქალბატონ მაია ცქირიას-მთავარი სპეციალისტი, აღმზრდელ მასწავლებელს მზია გადელიას, მუსიკის მასწავლებელს მზევი ჩიტაიას.

ბედნიერი ახალი წელი დაგბედებოდეთ!

მოლოცვა საბერძნეთიდან

ამბობენ, ჭეშმარიტ გრძნობას დრო და მანძილი ვერ ანელებსო. მეც სწორედ ასე მჭირს, სამშობლოსგან შორს მყოფს ჩემი ხობისა და თანაქალაქელების სიყვარული და მონატრება დღითიდღე მიძლიერდება. ამიტომ გაზეთ „სობის მოამბის“ მეშვეობით განსაკუთრებული მგრძნობელობით ვადგენებ თვალყურს ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს, რათა ხელმოსაჭიდი, სასიხარულო მოვლენები არ გამომრჩეს. როგორ არ უნდა მიხაროდეს იმის გაგება, რომ ხობი სულ უფრო მშვენიერდება და კეთილმოწყობილი ხდება. შენდება საწარმოები, საქმდება ადამიანები. ეს იმის იმედსაც ბადებს, ვიფიქრო, რომ სასიკეთო ცვლილებები და კეთილდღეობა თითოეულ ოჯახამდე მიაღწევს. მაშინ კი, ყველა ჩვენთაგანი საკუთარ კერას დაუბრუნდება და მშობლიური კუთხის ასაღორძინებლად იღვავებს.

უამრავ ემიგრანტთან ერთად, მეც ამ იმედით ვეგებები ახალი წლის მობრძანებას, მშვიდობა, ჯანმრთელობა, ერთმანეთისადმი სიყვარული, ხვავი და ბარაქა დაგებდეთ.

დაე, 2016 წელი იყოს ერთიანი, ძლიერი საქართველოს, ჩვენი მომავლის ბედნიერი ცხოვრების დასაწყისი. ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს თქვენს ოჯახებს. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

P.S. რესპოდენტმა წერილი გამომიგზავნა და მთხოვა არ დამეწერა მისი სახელი და გვარი. მეც ვასრულებ ამ თხოვნას და ვუსურვებ მალე საქართველოში დაბრუნებას.

„მაჭანკალი“ ნაძვის ხე (ჩანახატი)

მრავალსართულიანი, მრავალბინიანი სახლის ეზოში, ნაძვის ნერგებით დატვირთული სატვირთო მანქანა შევიდა. გადმოხტნენ უნიფორმებში გამოწყობილი ახალგაზრდა მუშები... ამოთხარეს ორმოები, ჩარგეს ნერგები და წავიდნენ.

სახლის ბინადარი გამოეფინენ ეზოში, ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას.

რამდენიმე თვეში ნაძვებმა მხრები გაშალეს. წამოიზარდნენ, გულს ახარებდა მათი შეხედვა. მაგრამ ამ ღამაზე მარადმწვანე ხეებში გამოერია ერთი უცხო ჯიშის ნაძვი, რომელსაც წიწვები აქა-იქ ძაფებივით ჰქონდა ჩამოკონწილებული.

ახალი წელი ახლოვდებოდა, ყველა დაკავებული იყო საახალწლო სამზადისით, ოჯახებში ნაძვის ხე მორთეს. ეზოში გამოვიდა ახალგაზრდა გოგონა, შეათვალიერა ნარგავები, მივიდა ულაშაზო ხესთან და რამდენიმე სათამაშო დაკვიდა, ნაძვი გალამაზდა, თითქოს უღიმოდა გოგონას.

გავიდა რამდენიმე თვე და გოგონა გათხოვდა. ისევ დადგა ახალი წელი, ახლა ორმა გოგონამ გააწყო ნაძვის ხე, რამდენიმე თვეში ორივე გათხოვდა.

უკვე სხვანაირად დაუწყეს ნაძვს ყურება...

საახალწლოდ რიგში იდგნენ გოგონები. ყველას უნდოდა მისი მორთვა. ერთმანეთს ასწრებდნენ სათამაშოებისა და ფერადი წვიმების დაკიდებას, ნაძვი თითქმის არ ჩანდა, გაიფხურებდა ბრჭყვიალა ბურთებით. იმ წელიწადს ყველა მიწოლებით თხოვდებოდა.

მომდევნო ახალ წელს კი მეზობელი სახლებიდან ემზადებოდნენ ქალიშვილები ნაძვის მოსართავად. ამ სახლში ცხოვრობდა ორმოც წელს გადაშორებული „შინაბერა“, მთელი სახლი ელოდებოდა, რომ ამჯერად ნაძვს ეს ქალი გააწყობდა, მაგრამ შესრულდა თორმეტი საათი და საერთო მხიარულებაში ყველას გადაავიწყდა ნაძვიც და ქალიც.

დილით მეზობლები გამოვიდნენ ეზოში, ერთმანეთის მილოცვაში გვიან შენიშნეს, რომ ნაძვი გაწყობილი იყო, ვიღაცამ გაიცინა, სხვებიც აყენენ, მერე გამოიტანეს მაგიდა, მოარბენინეს ჭიქები, ღვინო ტკბილეული და წინასწარ ულოცავდნენ იმ შინაბერას გაბედნიერებას.

ერთ დღეს ეზოში სატვირთო მანქანა შემოგრიალდა. არავინ იცის, ვისთან მოვიდა, რა მოიტანა, უკან დახვევისას დაეჯახა ნაძვს. გადატეხა ძირში და წავიდა. შეიკრიბა მთელი სახლი, ვიღაცამ წაიფლუტუნა, ვიღაც ატირდა, ამოიხრეს, მერე დაიშალნენ და „მაჭანკალი“ ნაძვი მალე მიეცა დავიწყებას.

სულთანა

პასტანე (კაჩია) ნახარია

წლები საოცარი სისწრაფით გადიან... გვაკლდებიან ადამიანები, რომელთა სიცოცხლე ლამაზ გამონათებას ჰგავს. ჩუმაღ და უხმაუროდ წავიდა ჩვენგან სოფელ ხეთის მკვიდრი ვახტანგ ლატარია. ეამაყებოდა მისი სოფელი და თანასოფლელები. ის ზურგამართული ლაპარაკობდა მათზე, უხაროდა იქ ცხოვრება, დღეს კი... თავად დააკლდა სოფელს, ქალაქს. ცხოვრების შუაგულზე შემოაღამდა... ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობდა ეს კეთილი და ალაღმართალი კაცი. დიდთან დიდი და პატარასთან პატარა... კაცი რომლის ირგვლივ მუდამ ისეთი ადამიანები იკრიბებოდნენ, ვისაც სინდის-ნამუსი, პატიოსნება და მაღალი პასუხისმგებლობა ჰქონდათ. ამ წუთისოფელში მხოლოდ 62 წელი იცხოვრა. სიკეთით, კაცთმოყვარეობით, პატიოსნებით და გულისხმიერებით მოიმკა ესოდენ დიდი სიყვარული. როგორი ამტანი და მომთმენი იყო, თავის გასაჭირს სხვას არასდროს მოახვევდა თავს, არავის აწუხებდა, ისე იცოდა სადარდების და საზრუნავის ტარება. საოცრად ესათუებოდა ოჯახს, ერთადერთ შვილ ალიკას, შვილიშვილებზე ამოდიოდა მზე და მთვარე ეამაყებოდა მისი მოსახელე ვახტანგი (ვატუკა)...



შეუძლებელი გახდა. როგორი უთქმელიც იყო ისე უთქმელად არავინ შეუწუხებია, ისე უცაბედად განეშორა წუთისოფელს კეთილი კაცი, როგორ დააკლდა საყვარელ მეუღლეს—მისი სული მგობარს—მარინა ხოსიტაშვილს მზრუნველი და მოსიყვარულე მეგობარი, საიმედო მეუღლე, შვილზე მზრუნველი მამა, შვილიშვილების მოსიყვარულე ბაბუა. დებს ერთადერთ ძმა, დააკლდა თავის საყვარელ ხეთას, სობს, მეგობრებს, ახლობლებს, მაგრამ მჯერა, მაინც მისი სიყვარული აცოცხლებს ყველას. მისი ნათელი სახება გზას გაუნათებს ალიკას... ხშირად სიხშირად გამოეცხადება, რათა მისი წასვლით გამოწვეული სევდა შეუმსუბუქოს, დაარიგოს, რომ პატივი სცეს ადრე დაქვრივებულ დედას და ტკივილი შეუმსუბუქოს, უყვარდეს მამის მეგობრები, თავისი მშობლიური ქალაქი და სოფელი ხეთა...

უფალო, შენ გაუნათე სასუფეველი სულით წმინდა ადამიანს!

მეგობრები

მეუღლე მარინა ხოსიტაშვილი, შვილი ალფეზი (ალიკა), რძალი ლიკა. შვილიშვილები: ვახტანგი, გიორგი. დები მაია, ქეთინო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პასტანე (კაჩია) ალფეზის მე ლატარია

ჯანელი (ჯანიომ) ნახარია

დიდი ხნის ნატვრა აგვიხდინა ბუნებამ, საახალწლო სობათად თოვლი გვაჩუქა და ამ დღესასწაულსაც უფრო მეტი ელფერი მისცა... მე კი ნოსტალგია მომეძალა, უფრო ძლიერ მომენტარე და მომინდა შენთან გასაუბრება, გონებაში გაიღვიძა შენმა სიტყვებმა — „ეს რა ახალი წელია, ეს რა ზამთარია, თოვლი რომ არ გვეღირსაო“. მომაგონდა, შუალაქე რომ დაეწყო თოვა, მაშინაც აუცილებლად ყველას,—და-ძმებს, ჩვენი ქუჩის ახალგაზრდობას გაგვავლიძებდი და საგუნდაოდ გავვიყვანდი.



პატარა ბავშვით გიხაროდა ახალი წლის დადგომა, დიდი ხნით ადრე იწყებდი სამზადისს, რომ რიგიანად და ხვავიანბაქარიანი სუფრით დახვედროდი მას. 11 იანვარი კი შენი დაბადების დღეა. რატომღაც არ გიყვარდა მისი აღნიშვნა და მე მაპატიე, რომ წელს ეს თარიღი მინდა ასე ხმამაღლა მოგილოცო იქ, სადაც შენი სული განისვენებს. წელს 56 წლის გახდებოდი, მინდა წარმოვიდგინო როგორი იქნებოდი ამ ასაკში, მაგრამ არ გამომდის, რადგან სულ დიდი კაცი მეგონე, მე ხომ ასაკით შენზე ბევრად პატარა ვიყავი... სულ 18 წლისა იყავი ოჯახი რომ შექმენი, ნანისთან ერთად, უსაზღვროდ გიყვარდათ ერთმანეთი და ის დღესაც აგრძელებს თქვენს სიყვარულს. ორი ვაჟკაცის მამა იყავი და არავის აწუხებდი ისე უკლები შენს ოჯახს. შენს სახელს მართლაც არ უწერია დავიწყება, რადგან შენი ოჯახი მრავალდება—ოთხი შვილიშვილი გყავს, სოფიკო, ხატია, ანამარია და შენი მოსახელე ჯანო კი ყველაზე პატარაა. ხოლო ხატია შვიდი წლის წინათ წენს დაბადების დღეზე მოგვივლინა უფალმა ჩვენდა ნუგეზად და შენი ხსოვნის უკვდავსაყოფად. უფალს ვთხოვთ, დიდი ხნის ჯანმრთელი და ბედნიერი სიცოცხლე დააბედოს მათ.

...ჰო, ჩემო საფიცარო, ჩემო ალაღმართალო, კეთილო, მოსიყვარულე ძმავ! 24 წლის წინათ, 29 წლის ასაკში შეწყვეტილი შენი სიცოცხლე ისევე დიდი ტკივილია ჩვენთვის, უსაზღვროა შენი მონატრება, გაუსაძლისია დედის მოთქმა და ტირილი, არასოდეს დაგივიწყებთ. ღმერთს ვავედრებთ შენს სახელს!

ჯულიეტა ლატარია.

ცვლილებები იმუნოზაციის პროცესულ კალენდარში



ლიომიელიტი (ინაქტივირებული).

მომზადდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ნორმატიული ბრძანება „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრისა და იმუნოზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ“. ბრძანება ამოქმედდა 2015 წლის პირველი დეკემბრიდან.

ბ კეპატიტის საწინააღმდეგო კომბინირებული ვაქცინა. ჰექსა აცრა ტარდება 2,3,4 თვის ასაკში. კურსი არის სამლოზიანი, აცრებს შორის მინიმალური ინტერვალი 4 კვირაა, ვაქცინის გამოყენება რეკომენდებულია 24 თვის ასაკამდე. ვაქცინის პირველი ფაზის შეყვანის შემდეგ ყვიანახველას კომპონენტებზე უკუჩვენების შემთხვევაში აცრები გრძელდება დტ ვაქცინით.

–პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ორალური ვაქცინით რევაქცინაცია გრძელდება 18 თვის და 5 წლის ასაკში.

–2-დან 15 წლამდე არავაქცინირებული ბავშვის ვაქცინაცია ხორციელდება ოპვ ვაქცინაციით ასაკის შესაბამისად. აცრების კურსი არის სამლოზიანი. მინიმალური ინტერვალი აცრებს შორის არის 4 კვირა.

–1 დეკემბრიდან მოხდა, პოლიომიელიტის ორალური ვაქცინაციის პირველადი კურსის ჩანაცვლება პოლიომიელიტის ინაქტივირებული ვაქცინაციის პირველადი კურსით.

–პოლიომიელიტის ინაქტივირებული ვაქცინა დაინერგება ჰექსავალენტური ვაქცინის სახით.

–ჰექსავალენტური ვაქცინა ჩანაცვლებს პენტავალენტურ ვაქცინას.

–პოლიომიელიტის ორალური ვაქცინა (სამვალენტური) გამოყენებულიქნება ორჯერადი რევაქცინაციისთვის.

0-დან 15 წლამდე ასაკის, ყველა არავაქცინირებული და/ან არასრულად ვაქცინირებული პირი, უნდა აიცრას ასაკის შეაბამისი ვაქცინებით პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად.

ჰექსავალენტური ვაქცინა უკვე მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან შემოტანილია სობის ჯანდაცვის ცენტრში და ხდება მისი გაცემა ჯანდაცვის პირველად რგოლებზე მათი მოთხოვნის შესაბამისად.

ვაქცინაცია არის უფასო, ვაქცინაციის ყველა ხარჯს ფარავს სახელმწიფო იმუნოზაციის ეროვნული პროგრამის ფარგლებში.

ჯუმბარ ტურავა,

სობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე-ექიმი-პროფილაქტიკოსი.

გვწერენ

სიკეთე უცხო ადამიანისთვის

ძვირფასო რედაქცია, მინდა შობა-ახალი წელი საუკეთესო სურვილებით მოგილოცოთ, წარმატებები და მაღლიერ მკითხველთა სიმრავლე გისურვოთ. დიდი მორიდებით ვთხოვთ, ამ სამადლობელი ბარათის გამოქვეყნებას.

დეკემბრის თვის ბოლო რიცხვები იყო. აფთიაქში ფარმაცევტს რეცეპტი მივაწოდე, გვერდით, ჩემთვის უცნობი ადამიანი იდგა და ნაყიდ წამლებს პარკში აწყოდა. ამასობაში ფარმაცევტმა მითხრა: ქალბატონო, თქვენი წამალი 25 ლარისააო. შვილო, ამდენი თანხა არა მაქვს და თუ შეძლებ, რამდენიმე დღის წამლები მომეცი-თქო. ამასობაში გვერდით მდგომმა გოგონას თანხა გადააწოდა და უთხრა, ამ ქალბატონის ფულს მე ვიხდიო. მომიბრუნდა, დამდეგი ახალი წელი მომილოცა და გამოჯანმრთელება მისურვა.

ჩემთვის, ეს ძალიან მოულოდნელი იყო. გაოგნებული ვიდექი, ვერაფერზე ვფიქრობდი და ამ კეთილ ადამიანს მაღლობაც ვერ გადავუხადე.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით შობა-ახალი წელი მივულოცო და დიდხანს ბედნიერი და ჯანმრთელი სიცოცხლე ვუსურვო, მაღლობა ვუთხრა ზაალ მოსიას. წარმატებები, სვავი და ბარაქა მოეტანოს ამ წელს მისი ოჯახისთვის.

დიდი ბედნიერებაა, როცა ხეთას—წინაგოლას ჰყავს ასეთი კეთილი და გულისხმიერი ადამიანი, რომელსაც შეუძლია ესოდენ დიდი სიკეთე გააკეთოს უცხო ადამიანისთვის.

მშვენიერ ბაროშვილი,

ქ. სობის მცხოვრები, პენსონერი. 71 წლის.

ულამაზესი დღე!!!

ხობის №2 საბავშვო ბაგაბალი.

ზამთრის უმშვენიერესი გარემო-ცაში მოფარფატე ფიფქები, ღამაზი ფერიები, თეთრი ნათურებით მოციმციმე ულამაზესი თეთრი ნაძვის ხე. დარბაზში უამრავი ადამიანი... ყველგან სილამაზე და სინატიფე იგრძნობოდა. ამ ყველაფერმა ბავშვად ყოფნის სურვილი გამიჩინა. ნეტავ მეც ბავშვი ვიყო მეტი, გავიფიქრე...

ამ სილამაზეში თეთრად მოფარფატე პატარა ცოცხალი ანგელოზები მოველინა ხალხით სავსე დარბაზს. რა ღამაზები, რა მშვენიერები იყვნენ პატა-

თეთრ სიფრიფანა კაბაში გამოწყობილმა და ვერცხლისფერი გვირგვინებით თავდამშვენებულმა გოგონებმა და ყელზე დიდი ბაბთებით გაღამაზებულმა ბიჭებმა დარბაზი სილალითა და სიხარულით აავსეს. „ყოჩაღების“ ჯგუფები ნამდვილი ყოჩაღები არიან.

დამსწრე საზოგადოებრივ დასახლებულ უბანში მცხოვრებლებს, მათ შორის ბავშვებს, მათ მშვენიერებას, სიხარულს, გარჯას, ერთობას და სიყვარულს.

თგულებასა, საქმისადმი და პატარებისადმი გადაგებულ კოლექტივს.

ნატო მასწავლებელმა, მუსიკის მასწავლებელმა დარეჯან



რები ბარბარე, ელენე, თეკლე, ნუცა, ბარბარე, ელენე, ცოტნე, ანასტასია, თორნიკე, მათე, სოლომონი, ანასტასია, ბარბარე, ნინო, ნინი, თეკლე, ბელა, ბუკა, ნიკა, გურამი, მაგდა, ანანო, გურამი... მათ სილალეს საზღვარი არა აქვს. ეს დღე მათ და მათმა აღმზრდელებმა გააღამაზეს და დაამშვენეს.

ზეიმი №2 საბავშვო ბაგაბალის პატარა (4-5) წლიანი გვერდის ბავშვთა ღონისძიება გახლდათ. აღმზრდელი მასწავლებელი ნატო ხურცია, თანამშემსწრეები მანანა უბილავა და მაკა ხვიჩია. დასაფასებელია მათი შრომა და ჯაფა.

ბ ა გ ა - ბ ა ღ ი ს მთავარი სპეცი-ლისტი ნარგიზა ტულუში მიესალმა და ყველას დამდეგი ახალი წელი მიულოცა. ქალბატონი ნარგიზა ტულუში-ყველა ღონისძიების მოთავე და სულისჩამდგმელი, დიზაინერი, სცენარისტი (ასე შემოიქცა შეეფასო) თავის დიდ და ხალისიან, მოაზროვნე, ყველა ღონისძიების თანაავტორებთან ერთად, მიესალმა დარბაზში მყოფთ.

საინტერესო სანახაობა სუფევდა ყველგან-ფოიებსა თუ საბავშვო ოთახებში, კიბეებსა თუ დარბაზებში. აქ ყველგან, თითოეული აქ მომუშავეს ნიჭიერება იყო ჩაქსოვილი. ყველაფერში სილამაზე და სიახლე სუფევდა. აფერუმ მათ მონღოლებას, სიხარულს, გარჯას, ერთობას და სიყვარულს.

საბეკიამ და ჯგუფის აღმზრდელი მასწავლებლის თანამშემსწრეებმა მანანა უბილავა და ნინო ხვიჩიამ სხვა თანამოსაქმებთან ერთად მონღოლება და გამოცდილება ჩააქსოვეს, რათა პატარებს ეს დღე ღამაზი და ბედნიერებით აღსავსე ჰქონებოდათ. მათ ერთი ჯგუფის ზეიმი დიდ ზეიმად აქციეს და ერთი სასურველი დღე აჩუქეს დედებს, მამებს, ბებიებს, ბაბუებს, ყველას...

ზეიმზე იფრქვეოდა სიმღერები, მას ცეკვა ენაცვლებოდა, ცეკვას ლექსი და კვლავ სიმღერა... ეს იყო ულამაზესი, დაუვიწყარი და მშვენიერი ერთი დღე.

აღფრთხილება და იქ განცდილი სიამოვნება დიდხანს მემანსოვრება.

ვემშვიდობები მათ და მჯერა, მეორე დღეს უფროსჯგუფელების ზეიმი, როგორც ყოველთვის, უფრო მასშტაბური და ღამაზი იქნება.

მომავალ შეხვედრამდე, პატარებო!

ნანი კილასონია.

ვიფოცაყთ!

მვირფასო რედაქცია!

გთხოვთ თქვენი გაზეთის მეშვეობით, ახალი 2016 წელი მოველოცო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გონა ქაჯაიას, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ედიშერ ჯობავას, მუნიციპალიტეტის ყველა მცხოვრებს და ვუსურვო თითოეულ მათგანს უღვივე სიხარული, ჯანმრთელობა, ბედნიერ დღეთა სიმრავლე და წარმატებები პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. სიხარული, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა გქონებოდეთ ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

ღმთის წყალობა თითოეულ თქვენთაგანს!
შალვა ხარებავა,
პენსიონერი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი. ღირსების ორდენოსანი, ხობის საპატიო მოქალაქე.

განსაკუთრებული ზეიმი



საზეიმო განწყობა სუფევდა ნოჯიხევის №2 საბავშვო ბაღში, პატარები საგულდაგულოდ ემზადებოდნენ საახალწლო ზეიმისთვის, დღესასწაულისთვის, რომელიც მათ განსაკუთრებულად ახალისებთ.

მონღომებული, საქმეზე და ბავშვებზე შეყვარებული პროფესიონალების ხელი ეტყობოდა ბავშვების ამ პატარა ნავსაყუდელს. აღმზრდელ მასწავლებლებს (მთავარი სპეციალისტი ნონა ალანია, აღმზრდელი მასწავლებელი ედიტა ნანავა, მუსიკის მასწავლებელი მაია გერგაია, მზარეული მარიტე ქანთარია) ძალია არ დაუშურებიათ, რათა პატარებისთვის საახალწლო გარემო შეექმნათ, კოხტად და დროდაჟამის შესაფერად მოერთოთ ირგვლივ ყველაფერი.

პატარა გოგო-ბიჭებმა უამრავი ლექსი და სიმღერა მიუძღვნეს ახალ წელს, თოვლს, თოვლის პაპას, იცეკვეს, განასახიერეს სხვადასხვა ზღაპრის გმირები. ბოლოს ცეკვა-თამაშით დაქანცულეს მოაგონდათ, რომ თოვლის პაპა ივვიანებდა და ყველამ ერთად მოუხმო მას და ისიც საჩუქრებით დატვირთული მოვიდა პატარებთან.

ზეიმის დასასრულს, ქალბატონმა ნონა ალანიამ და მოწვეულმა სტუმარმა, გამგებლის წარმომადგენელმა ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში ლევან ლიპარტიამ პატარებს და დამსწრე საზოგადოებას დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს, წარმატებები, ხვაი, ბარაქა და ღამაზ დღეთა სიმრავლე უსურვეს.

ზეიმზე ხალისი, სიბო და სიხარული სუფევდა. „გარეთ თოვდა, თოვდა“, მღეროდნენ პატარები და „ხელოვნური“ თოვლიც მოვიდა დარბაზში. ბუნებამ კი თითქოს პატარების თხოვნა შეისმინაო, საჩუქარი მოუწყო მათ და გარეთ მართლაც ითოვა, ღამაზად და მშვიდად მიაცილებდა ფანტელები ზეიმით და საჩუქრებით ნასიამოვნებ ბავშვებს სახლებში.

ჯულიეტა ლატარია.

გამოიწერეთ გაზეთი „ხობის მოამბე“



ერთი წლით მხოლოდ 17 ლარად

დაფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო. გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბე“ დირექტორი-მერი ლავგილავა, თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე-ნანი კილასონია. რედაქტორი-მანანა შულაია. ჟურნალისტები-ნინო გერგაია, ნაირა ბერაია. კომპიუტერული უზრუნველყოფა-ჯულიეტა ლატარია.
ბაზეთი ხელმძღვანელები: თაზისუფალი პრინის პრინციპებით. ბაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
ბაზეთი აუზო და დაბეჭდვა შპს „ხობის მოამბე“
მის: ხობი, ვიზინა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.